ხობის მოამბე

№14 (7027) 28 აგვისტო,
ხუთშაბათი, 2014 წელი.
ფასი 70 თეთრი.

ხობის მუნიციპალიტეტის გაზეთი

დღეს მარიამობაა, მარიამ ღვთისმშობლის მადლი გფარავდეთ!

„საქართველო ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანაა. დღეს ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის მიძინების დღეა, მაგრამ ვდღესასწაულობთ, რადგან ღვთისმშობელი არ დაგვშორდა ჩვენ, პირიქით, დაუახლოვდა ღმერთს და შეავედრა ჩვენი ქვეყანა.

ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი იყოს მეოხი სრულიად სოფლისა წინაშე მამისა და ძისა და წმიდისა სულისა“.

ილია II,
სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმიდესი და უნეტარესი, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი.

გილოცავთ!

ძვირფასო ხობელებო!

გილოცავთ მარიამობის ბრწყინვალე დღესასწაულს, დედა ღვთისა იყოს თქვენი და სრულიად საქართველოს შემწე, მადლისა და წყალობის მარად მომნიჭებელი.

საუკუნეების მანძილზე ღვთისმშობლის კვართი ხობში, ნოჯიხევის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის მიძინების ტაძარში იყო დაბრძანებული.

ამ ბრწყინვალე დღესასწაულისა და წმიდა კვართის მადლი და ძალა ფარავდეს ხობის მუნიციპალიტეტის მოსახლეობას და სრულიად საქართველოს.

გისურვებთ მშვიდობას, სიყვარულს, სიხარულს და ბედნიერ მომავალს.

ედიშერ ჯობავა,
ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე,

გოჩა ქაჯაია,
ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელი.

23 აგვისტოს გამოცხადდა ეროვნული გამოცდების საბოლოო შედეგები, უმაღლეს სასწავლებელში ჩარიცხულთა ნაკადს ხობის მუნიციპალიტეტიდან არაერთი სტუდენტი შეემატა.

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო უერთდება მათ დიდ სიხარულს და თითოეულ სტუდენტს უსურვებს წარმატებებს, როგორც პირად, ასევე, ქვეყნის სასიკეთო საქმიანობაში.

ედიშერ ჯობავა, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე,

„ცოტნეობა“ – 2014

იმედით, რწმენით და სიყვარულით სავსე დღე



ეს იყო ორიოდე კვირის წინ, როცა დიდი სამზადისი დასრულდა და პირისპირ დავრჩით დიდ ტრადიციულ დღესასწაულთან...

„ცოტნეობა“ ის დღესასწაულია, როცა ზეიმის დამთავრებისთანავე ფიქრობ: მომავალი „ცოტნეობა“ უკეთესი იქნება, ე.ი. სურვილი იმისა, ცოტნე აღმსარებლის დღესასწაული მარადიული და შენი ცხოვრების თანმდევი იყოს, არ ცხრება...

დილიდანვე უჩვეულო ფუსფუსი იყო ქალაქის ცენტრში, სადაც „ცოტნეობისადმი“ მიძღვნილი ღონისძიებები უნდა გამართულიყო, ხოლო ხობის მონასტრისკენ მიმავალ გზაზე კი ავტოტრანსპორტისა და ფეხით მოსიარულეთა რიცხვი არ ილეოდა... მონასტერში მრევლს თავად ცოტნე „ხვდებოდა“. მართალია, ფრესკა დაზიანებულია, მაგრამ ფასდაუდებელი, დადიანთა საძვალის მშვენება...

ხობის მონასტერში საზეიმო წირვა–ფოთისა და ხობის მიტროპოლიტმა მეუფე გრიგოლმა აღავლინა, მას თან

3-4

ვედრება!

ღვთისმშობელო მარიამ!

მუხლმოდრეკილი და თავდახრილი ვდგავარ შენი სასწაულმოქმედი ხატის წინაშე და მხურვალედ გევედრები, ბოროტთა ხელყოფისაგან დაიფარო შენი წილხვედრი ივერიის მიწა, ჩემი სამშობლო, მშვენიერი საქართველო!

შენზე უკეთ არვინ იცის მისი ავკარგი, შენსავით ვერავინ ხედავს მის ჭირსა და ლხინს, იგი ხომ ის წალკოტია, რომელიც შენს საბრძანებლად აირჩიე და შემდეგ ქართველებს დაუთმე! ამ ნიჭიერ, ლამაზ, მშრომელ და მებრძოლ ერს ახსოვს ეს სიკეთე და ამიტომაც ერთგულია შენი ერთადერთი ძის, ჩვენი მაცხოვრისა. ქართველები სისხლისა და სოცოცხლის ფასად იცავდნენ და დღემდე იცავენ კურთხეულ რწმენას ჩვენსას–ქრისტიანობას!

რამდენმა ქარტეხილმა გადაგვიარა! რამდენი ურჯულო შეეცადა ჩემი სამშობლოს აღგვას პირისაგან მიწისა, მაგრამ ფუძის სიყვარულმა, რწმენის სიმტკიცემ და გარჯის წყურვილმა გადაარჩინა ჩვენი მიწა-წყალი-„ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტი“ ქვეყანა ჩემი!

ხშირად მეკითხებიან–რა არის ჩემთვის ჩემი ქვეყანა?

იგი აკვანია ჩემი ღირსეული წინაპრებისა, ჩემი შვილებისა და შვილიშვილებისა, ჩემთა თვალთაჩინთა ბადიშებისა. იგი უწმიდესი სალოცავი ადგილია ჩემი, როგორც ქრისტიანისა, საცხოვრისია ჩემთა შთამომავალთა. იგი სიხარული და სევდაა ჩემი, იმედი და სიცოცხლეა ჩემი, იგია ჩემთა შვილთა აწმყო და მომავალი. საქართველოა ხატი ჩემი!

ამიტომ გევედრები, მარად ქალწულო, შენი სასწაულმოქმედი კალთა გადმოაფარე ამ წმიდა მიწას! აკმარე გარდახდილ ჭირთა სიმძიმე და სისხლის წვიმები, მოეც ძალა ჭირთათმენისა, უმრავლე ერთგული და სიკეთისმქმნელნი!

ჯანმრთელი და დღეგრძელ ჰყავ ქვეყნის ჭირისუფალი, ქრისტიანი ერის მწყემსმთავარი, სიწმიდე და იმედი სრულიად საქართველოსი, უწმიდესი და უნეტარესი ილია მეორე;

კვლავ გააბრწყინე ქვეყანა ჩემი ღვთიური სიყვარულით.

ღმერთი ჩვენთანაა!

მერი აბრამია,
საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი.
2014 წელი, მარიამობისთვე

დაიჯესტი

ირაკლი ღარიბაშვილმა მთავრობის წევრებს მიმართა, უკრაინას მაქსიმალური მხარდაჭერა და დახმარება აღმოუჩინეთ

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი მთავრობას უკრაინის „მაქსიმალურად დახმარების“ დავალებას აძლევს. პრემიერმა მინისტრთა კაბინეტის წევრებს მთავრობის დღევანდელ სხდომაზე მიმართა. „კარგი იქნება, თუ ჩვენ ჰუმანიტარულ დახმარებას აღმოვუჩენთ ჩვენ უკრაინელ მეგობრებს. მაქსიმალური მხარდაჭერა და დახმარება აღმოუჩინეთ“,-მიმართა პრემიერმა მინისტრებს.

ირაკლი ღარიბაშვილი უკრაინაში გამგზავრების თაობაზე ჯანდაცვის მინისტრ დავით სერგეენკოს გადაწყვეტილებით დაინტერესდა და მისგან ინფორმაციაც მოისმინა.

„მქონდა კომუნიკაცია ჩემს უკრაინელ კოლეგასთან. შევთანხმდით, რომ ადგილზე ჩავიდოდა რამდენიმე სპეციალისტი, რომელიც საჭიროებების შეფასებას გააკეთებდა. გადავწყვიტე, რომ პირადად ჩავსულიყავი დეპარტამენტის ხელმძღვანელთან ერთად. დილით ადრე კიევში ვიქნებით და შევუდგებით მუშაობას“, - განაცხადა დავით სერგეენკომ, რომელიც უკრაინაში ხვალ მიემგზავრება. პრემიერის მოწოდებასთან დაკავშირებით, მთავრობის დღევანდელ სხდომაზე კომენტარი გააკეთა ფინანსთა მინისტრმაც. ნოდარ ხადურმა ირაკლი ღარიბაშვილს საქართველოში უკრაინის დელეგაციის ვიზიტთან დაკავშირებით მიაწოდა ინფორმაცია. „დღეს საღამოს საქართველოში ჩამოდის უკრაინის ფინანსთა სამინისტროს, საგადასახადო სამსახურის, ასევე საგამოძიებო სამსახურის დელეგაცია, რომელიც 4 დღის განმავლობაში იმუშავებს ჩვენთან. ძირითადად აჭარაში იქნებიან, გაეცნობიან ჩვენს გამოცდილებას“, - აღნიშნა ხადურმა.

ირაკლი ღარიბაშვილი: საქართველოს 21-ე საუკუნეში კვლავ ეძლევა საშუალება შეასრულოს თავისი ისტორიული მისია

საქართველოს 21 -ე საუკუნეში კვლავ ეძლევა საშუალება შეასრულოს თავისი ისტორიული ფუნქცია,–ამის შესახებ პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა „აბრეშუმის გზის“ პროექტის დასკვნითი შეხვედრის მონაწილეების წინაშე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა.

მისივე განმარტებით, საქართველო ყოველთვის აბრეშუმის გზის განუყოფელი ნაწილი იყო. „თქვენს მასშტაბურ ექსპედიციას ძალიან კეთილშობილი მიზანი აქვს - ეს არის აბრეშუმის გზის ქვეყნების შემოვლა, მათი ეკონომიკური, საინვესტიციო და ტურისტული პოტენციალით დაინტერესება და ამ ქვეყნების კულტურისა და ისტორიის გაცნობა. დღეს კიდევ ერთხელ მეძლევა საშუალება, აღვნიშნო საქართველოს ისტორიული როლი და ის ფუქნცია, რომელიც ჩვენს ქვეყანას ოდითგანვე ეკისრებოდა როგორც ორი მსოფლიო სისტემის, ორი გეოპოლიტიკური არეალის დამაკავშირებელს, რადგან ის დასავლეთისა და აღმოსავლეთის გზაგასაყარზე იყო მოქცეული. გვერდიგვერდ არსებობდა ორი სამყარო, ორი ცივილიზაცია და მათ შორის სავაჭრო და კულტურული კავშირები საუკუნეების განმავლობაში სწორედ აბრეშუმის დიდ გზაზე გადიოდა, და საქართველო ამ ორი სამყაროს გზაჯვარედინი, აბრეშუმის გზის განუყოფელი ნაწილი იყო ყოველთვის–აქ იკვეთებოდა აღმოსავლეთისა და დასავლეთის გზები, აქ ხდებოდა აღმოსავლურ და დასავლურ ცივილიზაციათა და კულტურათა დიალოგი. აბრეშუმის გზამ ერთიან სავაჭრო სისტემაში მოაქცია ქვეყნები ევროპიდან ჩინეთამდე.

დღეს ჩვენთვის ძალიან სასიხარულოა, რომ საქართველოს 21-ე საუკუნეში კვლავ ეძლევა საშუალება შეასრულოს თავისი ისტორიული ფუნქცია“,–განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

პრემიერის შეფასებით, აბრეშუმის გზა საქართველოს შესაძლებლობას უჩენს განავითაროს ეკონომიკა, ვაჭრობა, დაამყაროს ახალი კავშირები და კულტურული ურთიერთობები, უკეთ წარმოაჩინოს ჩვენი ტრადიციები, საინვესტიციო და ტურისტული პოტენციალი.

„საქართველოს გეოპოლიტიკური მდებარეობა და გამართული სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა შესაძლებლობას გვაძლევს, ვიფიქროთ საქართველოს უმნიშვნელოვანეს ფუნქციაზე–იყოს უმოკლესი დამაკავშირებელი გზა ევროპასა და აზიას შორის, მით უფრო მაშინ, როდესაც სულ უფრო იზრდება ტვირთბრუნვა რეგიონებს შორის. ჩვენი მთავრობა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს საქართველოს, როგორც სატრანზიტო ქვეყნის, პოტენციალის განვითარებას.

მინდა გითხრათ, რომ ჩვენ ვახორციელებთ პროექტს, რომელიც გვაძლევს შესაძლებლობას, სარკინიგზო ტრანსპორტის მეშვეობით უმოკლესი გზით დავაკავშიროთ აზია და ევროპა, რაც თავისთავად გულისხმობს ისტორიული აბრეშუმის გზის სატრანსპორტო დერეფნისათვის ახალი იმპულსის მიცემას“,–აღნიშნა პრემიერ-მინისტრმა.

რიჩარდ ნორლანდი: საქართველოს ჰყავს ბევრი მეგობარი, აშშ ერთ-ერთი მათგანია

საქართველოს ჰყავს ძალიან ბევრი მეგობარი, ამერიკის შეერთებული შტატები არის ერთ ერთი მათგანი, - ასე გამოეხმაურა ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი საქართველოში, რიჩარდ ნორლანდი ექსპრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის მიმართ პატიმრობის მისჯასთან დაკავშირებულ უცხოელი დიპლომატებისა და საქართველოს მთავრობის წევრების განცხადებებს.

როგორც რიჩარდ ნორლანდმა აღნიშნა,

ექსპრეზიდენტთან დაკავშირებით საქართველოს ხელისუფლებამ უნდა უზრუნველყოს საქმის წარმართვა მართლმსაჯულების მაღალი ხარისხით.

„ჩვენი მიზანია, საქართველოში იყოს მომავალზე ორიენტირებული დღის წესრიგი. რაც შეეხება ყოფილ პრეზიდენტთან დაკავშირებულ მოვლენებს, გავიხსენებ 29 ივნისის განცხადებას, სადაც აღნიშნულია, რომ ჩვენ ვაკვირდებით მოვლენებს და ვთხოვთ საქართველოს ხელისუფლებას, რომ უზრუნველყოს მაღალი ხარისხის მართლმსაჯულების პროცესი და საქმის წარმართვა“,–აღნიშნა რიჩარდ ნორლანდმა.

საქართველოში 6 წლის განმავლობაში კანონიერად მცხოვრები უცხოელი მუდმივად ცხოვრების უფლებას მიიღებს

ის უცხოელი, ვინც 6 წლის განმავლობაში კანონიერად იცხოვრებს საქართველოში ბინადრობის მოწმობის საფუძველზე, შეეძლება მუდმივი ცხოვრების უფლება მიიღოს , - ამის შესახებ მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა განაცხადა. მისივე თქმით, გამარტივებული წესით მიენიჭებათ მუდმივი ცხოვრების უფლება

ასევე ყველა იმ ადამიანს, რომლებიც წარსულში იყვნენ საქართველოს მოქალაქეები და სხვადასხვა მიზეზით დაკარგეს საქართველოს მოქალაქეობა. მათ გამარტივებული გზით შეეძლებათ საქართველოში მუდმივი ცხოვრების უფლება მოიპოვონ.

წულუკიანის განცხადებით, ასევე მნიშვნელოვანი სიახლეა ის, რომ გარდა განსაკუთრებული შემთხვევებისა და ამას ითხოვს ვიზა-ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმა ევროკავშირთან, პირველი სექტემბრიდან, საქართველოს საზღვრებზე არ გაიცემა ვიზები.

„ამიტომ უცხოელებმა წინასწარ უნდა აიღონ შესაბამისი კატეგორიის ვიზა“, - განაცხადა თეა წულუკიანმა.

მაღალტექნოლოგიური კლინიკის მშენებლობის გახსნა

2014 წლის 25 აგვისტოს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ რუხში საძირკველი ჩაეყარა ეროვნული მნიშვნელობის, მრავალპროფილიანი რეგიონული საავადმყოფოს მშენებლობას.

მშენებლობის საძირკველის ჩაყრის ცერემონიალს ესწრებოდნენ მთავრობის მეთაური ირაკლი ღარიბაშვილი,საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი დავით შავლიაშვილი, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი დავით სერგეენკო, მხარის გუბერნატორი ლევან შონია, რეგიონის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელები,მათ შორის ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ედიშერ ჯობავა და გამგებელი გოჩა ქაჯაია. პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა დამსწრე საზოგადოების წინაშე აღნიშნა, რომ „თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი, საერთაშორისო სტანდარტების კლინიკის პროექტი, რომელიც მოემსახურება მთელს რეგიონს, იყო ბიძინა ივანიშვილის ინიციატივა.

პროექტის ღირებულება აჭარბებს 40 მილიონს. პროექტის განხორციელება მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს სამეგრელოსა და მიმდებარე რეგიონებში სამედიცინო მომსახურეობას, რაც მთავარია ერთმანეთთან დააკავშირებს ენგურის ორივე მხარეს, აქ მკურნალობას შეძლებენ ჩვენი აფხაზი ძმები, რომლებსაც ყველა იმ სიკეთით სარგებლობა შეეძლებათ, რასაც ქართული სახელმწიფო თავის მოქალაქეებს სთავაზობს. საბოლოოდ კლინიკაში დასაქმდება 600 ადამიანი-სამედიცინო, ტექნიკური და დამხმარე პერსონალის ჩათვლით, ეს იქნება ადგილობრივი მოსახლეობისათვის მნიშვნელოვანი შემოსავლის წყარო“

„ცოტნეობა“ — 2014

1

ახლდა ეპარქიის სამღვდელოება და რაც განსაკუთრებით აღსანიშნავია, დასავლეთ ევროპის ეპარქიიდან ჩამოსული სასულიერო პირები, ახალგაზრდა მამები... მსგავსი რამ ცოტნეობის დღესასწაულებს არ ახსოვს. ხობის მონასტერში წირვას დაესწრნენ საქართველოს პარლამენტის წევრი ბატონი გიგა ბუკია, სამეგრელო ზემო-სვანეთის გუბერნატორი ბატონი ლევან შონია, საქართველოს პირველი პრეზიდენტის შვილი ბატონი კონსტანტინე გამსახურდია, „ფაზისის“ საერო-

4

იმედით, რწმენით და სიყვარულით სავსე დღე

ლი ბატონი კონსტანტინე გამსახურდია, „ფაზისის“ საერო-სამეცნიერო აკადემიის პრეზიდენტი ბატონი ნუგზარ ნადარაია, (რომელმაც სწორედ მუნიციპალიტეტის თავკაცობის პერიოდში დააწესა ეს დღესასწაული), ზუგდიდის მერი ირაკლი გოგოხია, გუბერნატორის მოადგილე კობა ქანთარია, საქართველოს ეროვნული აკადემიის ენათმეცნიერების პროფესორი ქალბატონი ზოია ცხადაია, ჟურნალისტი ბესო ჩუბინიძე, უამრავი ცნობილი სახეები, რომელთა ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა, ბევრ მათგანს სტუმარი არც ეთქმოდა...

გულახდილად უნდა ითქვას, მუნიციპალიტეტის გამგებელი ბატონი გოჩა ქაჯაია, საკრებულოს თავმჯდომარე ბატონი ედიშერ ჯობავა, გამგეობისა და საკრებულოს სამსახურის უფროსები მობილიზებულნი იყვნენ იმისათვის, არავინ და არაფერი გამორჩენოდათ. თუმცა ეს ადვილი ნამდვილად არ გახლდათ.

ქალაქის ცენტრში დილიდანვე დაიწყო სპორტული ღონისძიებები .(იხილეთ მე-6 გვერდზე) თითოეულ ღონისძიებას თავისი მნახველი ასხივოსნებდა არე-მარეს.

შუა დღისას ზეიმს სტუმრებთან ერთად პარლამენტის ოთხგზის მაჟორიტარი დეპუტატი ბატონი გოდერძი ბუკია შემოუერთდა. სახელდახელო ფაცხებს ესტუმრა, თითქოს ლოცვას აღავლენსო, პატარებთან ერთად მუხლმოყრილმა მეგრული სიმღერა „დააგუგუნა“ და ქართველ გმირთა სადიდებელი სადღეგრძელოც შესვა. ირგვლივ აგვისტოს ხვატთან ერთად მისგან საკუთარი ხალხისადმი სიყვარული და სითბო იღვრებოდა, მის მიმართ გულწრფელი სამადლობელი არ ელეოდა ზეიმზე მოსულ სტუმრებს, მოსახლეობას...

განსაკუთრებული ხალხმრავლობა იყო გამოფენა-გაყიდვაზე, სადაც ძირითადად ნოჯიხევის პროფესიული გადამზადების ცენტრის მოსწავლეთა ნამუშევრები გამოეფინათ.

–თვალებს არ დავუჯერე, ასეთი დახვეწილი ნამუშევრების შეძენას ვერც ვიფიქრებდი–მეუბნება მოსკოვში მცხოვრები მაია თუთბერიძე და შენაძენს მაჩვენებს. ჩხორწყუელი ფოტოხელოვანის რომან თოლორდავას გამოფენას სახელწოდებით „ჩემი სამეგრელო“ დამთვალიერებელი არ ელეოდა...

ამასობაში დროც გამექცა და თეატრალიზებული მხატვრული კომპოზიცია „პატარა საქართველოს რაინდული გული“ დაიწყო. დარწმუნებული ვარ გულგრილი არავინ დარჩენილა. თეატრალურმა სანახაობამ წარსულისა და თანამედროვეობის სინთეზში წარმოგვიდგინა, რატომ გადაეცემა საუკუნეებს სახელი „ცოტნე“.

მუნიციპალიტეტის გამგებელმა გოჩა ქაჯაიამ ხობელებს, ხობის სტუმრებს და სრულიად საქართველოს მიულოცა „ცოტნეობა“ და აღნიშნა, რომ 12 აგვისტოს საქართველოში „დიდგორობისა“ და „ცოტნეობის“ ერთ დღეს აღნიშვნა სიმბოლური კავშირია ერის სულიერი და ფიზიკური გადარჩენისა. გოდერძი ბუკიამ, ნუგზარ ნადარაიამ, კონსტანტინე გამსახურდიამ, მსახიობმა ბესო ვერულაშვილმა, პოეტმა და

4

დღესასწაული, რომელიც მუდამ შენთან არის

ხობი–ცოტნეს ადგილის დედა, კვლავაც ღირსეულად შეეგება საეკლესიო-ეროვნულ დღესასწაულს „ცოტნეობა–2014“-ს. ამ დღეს აღინიშნა „დიდგორობა“ და ეს დამთხვევა აღმოსავლეთისა და დასავლეთის მარადიული ერთიანობის ნიშანია.

დიდი ზეიმი ხობის ღვთისმშობლის მიძინების ტაძრიდან დაიწყო. მთელი დღე დატვირთული იყო სხვადასხვა კულტურულ-სპორტული ღონისძიებებით, განსაკუთრებით ტრადიციული სახეობების წარმოჩენით. მეგრულ ფაცხებში იღებდნენ სტუმრებს ყოველი კუთხიდან. კოლხური ფოლკლორის ყოფისა და რეწვის ნიმუშების, ნახატების, წიგნების გამოფენა-გაყიდვა იზიდავდა მნახველს.

ასეთი ხალხმრავლობა ჯერ არ გვინახავს, ეტყობა, ხობის ახალი ხელმძღვანელობა (გოჩა ქაჯაია, ედიშერ ჯობავა), განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ეროვნული ღირებულებების, ქვეყნის, კუთხის ისტორიის წარმოჩენას. დიდი შთაბეჭდილებები დატოვა თეატრალიზებულმა სანახაობამ „პატარა საქართველოს რაინდული გული“.

სტუმარ-მასპინძელთ მიესალმნენ ხობის გამგებელი

გოჩა ქაჯაია, წარმატებული ბიზნესმენი და პარლამენტარი გოდერძი ბუკია, რომელმაც, როგორც ყოველთვის, თავისი ღირსეული წვლილი შეიტანა ღონისძიების ფინანსურ უზრუნველყოფაში. დღესასწაულზე სიტყვით გამოვიდა „ფაზისის“ საერო-სამეცნიერო აკადემიის პრეზიდენტი, ბატონი ნუგზარ ნადარაია, რომელმაც ცოტნე აღმსარებლის მოოქროვილ-მოვერცხლილი ხატი გადასცა გოგიტა ჩიტაიას, ალეკო დოლბაიას, საქართველოს პირველი პრეზიდენტის ვაჟს კონსტანტინე გამსახურდიას, რომელიც „ფაზისის“ აკადემიის მოწვევით ჩამობრძანდა ზეიმზე.

ღონისძიებაზე ითქვა, რომ მომავალ წელს ნუგზარ ნადარაიას 70 წლის იუბილე განსაკუთრებულად აღინიშნება ,,ცოტნეობის“ დღესასწაულზე, რამეთუ მას უდიდესი წვლილი მიუძღვის ხობის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში, ცოტნე დადიანისა და დიდი დავით აღმაშენებლის აღმზრდელის გიორგი-ჭყონდიდელი-ბედიას წმინდანად აღიარების, ცოტნეობის დღესასწაულის დამკვიდრებისა და ტრადიციულად ქცევის საქმეში.

დასასრულს გაიმართა დიდი კონცერტი, რომელშიც მონაწილეობდა თსუს ანსამბლი ,,გორდელა“ დედაქალაქიდან, თურქეთიდან მოწვეული იყო ,,ჩვენებურების“ ცნობილი მომღერალი ბაიარ შაჰინი, ასევე თავიანთი ხელოვნება წარმოაჩინეს ფოლკლორულმა ანსამბლებმა.

ყველაზე უფრო დღეს გვჭირდება ცოტნეს სიმამაცე და ზნეობრივი გმირობა, ქვეყნისათვის, მეგობრისთვის თავგანწირვა და არა ღალატი, დაყოფა, ჩაშვება, რაც ამჟამად არცთუ იშვიათად გვხვდება. სამეგრელომ უნდა იამაყოს, რომ ის არის ქუჯი ეგრისელის, ცოტნე დადიანისა და ჟიული შარტავას მხარე, მან კვლავაც თავისი სიტყვა უნდა თქვას საქართველოს გაერთიანების საქმეში.

და ბოლოს, ,,ცოტნეობამ“ კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ეს არის დღესასწაული, რომელიც მუდამ შენთანაა!

ზურაბ აბრალავა,
გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ საკ.კორ.

„ცოტნეობა“ – 2014

4

პუბლიცისტმა ლაშა გვასალიამ კიდევ ერთხელ მიულოცეს ეს დიდებული დღესასწაული სტუმარ-მასპინძლებს.

ბატონმა ნუგზარ ნადარაიამ მისალმების დასასრულს ცოტნეს მოოქროვილ-მოვერცხლილი ხატი გადასცა ბატონ გოგიტა ჩიტაიას, ალეკო დოლბაიას, კონსტანტინე გამსახურდიას და ახალადდაქორწინებულ წყვილს ნათია და ბაკურ სამყურაშვილებს, ისინი მუნიციპალიტეტის თვითმმართველობამ წიგნებით დაასაჩუქრა, ხოლო ბატონმა გოდერძი ბუკიამ წყვილს სიურპრიზი მოუმზადა–სასტუმროს „წყალტუბო პალასში“ 10 დღიანი საგზურით დაასაჩუქრა.

დღესასწაულზე კიდევ ერთი სასიამოვნო ინფორმაცია გაჟღერდა: მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და გამგეობის გადაწყვეტილებით, „ხობის საპატიო მოქალაქის“ წოდება მიენიჭათ ხობელთათვის საყვარელ პიროვნებებს და დამსახურებულ მოღვაწეებს ლუთინ ქავთარაძეს (მედიცინა) და შალვა ხარებავას (განათლება) დაბადებიდან 80 წლისთავის გამო.

დრო საოცარ კონცერტზე „გვეპატიჟებოდა“ თსუ-ს ანსამბლი „გორდელა“, ნინო გოთოშია, აბაშის „ჰარირა“ და სენაკის „ეგრისის“ გუნდები, მომღერალი ლაშა ღლონტი და „ჩვენებურების“ ცნობილი ქართველი მომღერალი ბაიარ შაჰინი-ბადრი გუნდარიძე.

–ბედნიერი ვარ, აქ ისეთ სიამოვნებას ვიღებ, სპეციალურად ჩამოვედი ამ დღესასწაულზე დასასწრებად. ხობში ძალიან კარგი მეგობრები მყავს, ეს ჩემი ქვეყანაა, ჩემში ქართული სისხლია, მიყვარხართ ყველა–იტყვის შემდგომ ბატონი ბაიარი და მისი რეპერტუარიდან ქართული სიმღერით დაგვატკბობს.

კონცერტის დასრულების შემდეგ რეგიონის სხვადასხვა მუნიციპალიტეტიდან ჩამოსულმა პოეტებმა ლექსები წაიკითხეს... ყველაფერი, რაც იმ დღეს და დღესასწაულს ასე ალამაზებდა, ცოტნე აღმსარებლის გარშემო ტრიალებდა. ერთად დგომის, თავდადების ერთმანეთის გატანისა და თანადგომის მაგალითებს გვახსენებდა, მაგრამ ულამაზესი წუთები და დიდი ემოცია თურმე წინ გველოდა... გარდა იმისა, ექიმმა და მომღერალმა ლაშა ღლონტმა მეგობრებთან ერთად ტკბილხმიანი სიმღერებით დაგვატკბეს, საქველმოქმედო აქციაც მოაწყვეს ხობში. ჭავჭავაძის ქუჩაზე მცხოვრებ ქარცხიების მრავალშვილიან ოჯახს ლაშა ღლონტი, ხატია წერეთელი, მალუ მამფორია, რეპერი ტოცაფე ეწვივნენ და საჩუქრები გადასცეს. ქალბატონმა ხატია წერეთელმა აქციაში დამატებითი წვლილი შეიტანა, მათ ოჯახს პროდუქტი, ტანსაცმელი, პირველადი მოხმარების ნივთები და სათამაშოები გადასცეს. ჟურნალმა „ცისარტყელამ“ და ახალგაზრდული კავშირის თავმჯდომარემ, ამ საქველმოქმედო აქციის ორგანიზატორმა აკაკი წოწონავამ ოჯახს საოჯახო ნივთები გადასცა. ქარცხიების ოჯახის ემოცია ჭავჭავაძის ქუჩაზე სითბოდ იღვრებოდა. ამ ემოციის ქაღალდზე გადმოტანა კალამსაც უჭირს...

უკვე ბინდი ჩამოწვა. ხობის ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ტაძარი ამაყად გადმოყურებდა ქალაქს. 12 აგვისტოს ღამე, „ცოტნეობის“ დღესასწაული ყველას გვახსენებს, რომ მთავარი თანადგომა, ერისა და ერთმანეთის ერთგულება და სიყვარულია,

იმედით, რწმენით და სიყვარულით სავსე დღე

სიყვარული, რომელსაც ასაკი არა აქვს და რომელიც ერსა და ბერს აერთიანებს...

მოგვიანებით ზეიმზე მოსულ საზოგადოებას ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი, ღონისძიების სულისჩამდგმელი ქალბატონი როზეტა შულაია ეტყვის:

–„ცოტნეობა–2014“ დამთავრდა და ამ წუთიდანვე იწყება მომავალი „ცოტნეობისთვის“ მზადება... დღეს კი მან მოიცვა ხობი და შემოიერთა მეზობელი მუნიციპალიტეტის შემოქმედებითი კოლექტივები, პოპულარული ანსამბლები...“

...მნიშვნელობით იგივე და მასშტაბით უფრო დიდი „ცოტნეობის“ მოლოდინით გათენდა აგვისტოს ახალი, იმედით, რწმენით და სიყვარულით სავსე დღე.

მომავალ ცოტნეობამდე!

მერი ლაგვილავა.

ბლიც–ინტერვიუ

„მჯერა, რომ საქართველო გაბრწყინდება“

სახელი: **დოდო**
გვარი: **გაბუნია**

საქმიანობა: პროფესიით ვარ ექიმი. ამჟამად ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე გახლავართ.

თქვენი წარსულის ერთი ლამაზი დღე:

–განსაკუთრებით გამორჩეული და ლამაზი ჩემს ცხოვრებაში ორი დღეა–ჩემი შვილების დაბადების დღეები.

რას ინატრებდით?

–ვიცხოვრო გაერთიანებულ, ბედნიერ, ეკონომიკურად ძლიერ საქართველოში.

სურვილი, რომელიც ვერ აისრულეთ?

–ძალიან მინდოდა მყოლოდა ქალიშვილი.

ყველაზე მეტად რას არ ისურვებდით?

–სიცრუეს, ორპირობას, ღალატს ახლობლებისაგან.

ვის გარეშეც ცხოვრება ვერ წარმოგიდგენიათ?

–ჩემი ოჯახის წევრების, დის, დისშვილის გარეშე ცხოვრებას ჩემთვის არანაირი აზრი არა აქვს.

თქვენი ყველაზე ძლიერი მხარე?

–ვარ პირდაპირი. შემიძლია ვიდგე მართალი ადამიანის გვერდით ნებისმიერ სიტუაციაში.

თქვენი ყველაზე უცნაური თვისება?

–ვერ გეტყვით, ასეთი არაფერი შემიმჩნევია. ჩემი ახლობლები ამაზე უკეთ ისაუბრებენ.

რისი გჯერათ?

–პირველ რიგში–უფლის. ბუნებით ოპტიმისტი ვარ და მჯერა ბედნიერი მომავლის. მჯერა, რომ საქართველო გაბრწყინდება და მომავალი თაობები იცხოვრებენ, ისე, როგორც შეეფერება დავითის, თამარის, რუსთველის შთამომავლობას.

რასაც არასდროს გააკეთებდით?

–რაფიელ ერისთავის სიტყვებით გიპასუხებთ:

„არ გავცვლი სალსა კლდეებსა
უკვდავებისა ხეზედა,
არ გავცვლი მე ჩემს სამშობლოს
სხვა ქვეყნის სამოთხეზედა!..

ადამიანში ყველაზე მნიშვნელოვანი ღირსება?

–იყო ადამიანი!!!

ყველაზე მეტად რისი გეშინიათ?

–სტიქიური უბედურებების, ომების.

ფრაზა, რომელსაც ყოველდღიურ საუბარში იყენებთ?

–არ ვიცი. ვფიქრობ განსაკუთრებულ ფრაზებს საუბრისას არ ვიყენებ

რა უნდა გახსოვდეთ ამ ქვეყნად ყოველთვის?

–ღმერთმა ამ ქვეყანას სიკეთის კეთებისთვის მომავლინა. არა მაქვს უფლება შეგნებულად დავარღვიო 10 მცნებიდან თუნდაც ერთი.

როგორ მოხვედით პოლიტიკაში?

–ჩემი პროფესიიდან გამომდინარე აპოლიტიკური ადამიანი უნდა ვყოფილიყავი. პოლიტიკაში მოსვლა ჩემი თვითმიზანი არასდროს ყოფილა. არ ვყოფილვარ არც ერთი პარტიის წევრი. ჩვენს ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობის, რიგი სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზების გამო, რომლებზედაც საუბარს არ ვაპირებ, უდიდესი პასუხისმგებლობის შეგრძნების გამო საკუთარი თავის, ოჯახის, შვილების მიმართ და ალბათ, ჩემი ხასიათიდანაც გამომდინარე (ვერ ვიტან უსამართლობას, არ მიყვარს, „მდორე“ ცხოვრება) გავხდი მპგ „ქართული ოცნება–დემოკრატიული საქართველო“ს წევრი.

ვინ არიან თქვენი ოპონენტები?

–ადამიანები, რომლებმაც ნებსით თუ უნებლიედ ბევრი ცუდი დამართეს საქართველოს და ქართველ ხალხს. თუმცა მათშიც არიან საღად მოაზროვნე პიროვნებები, რომლებმაც აღიქვეს და შეაფასეს არსებული რეალობა. მათთან შესაძლებელია ჯანსაღი ოპონირება ქვეყნისა და ხალხის სასიკეთოდ.

ის, რაც ძალიან გინდათ იცოდეთ?

–მიყვარს მხატვრული ლიტერატურის კითხვა. რუსული კლასიკოსების თუ თანამედროვე მწერლების ნაწარმოებებს ვკითხულობ ორიგინალში, რაც დიდ სიამოვნებას მგვრის. ძალიან მინდა სრულყოფილად ვფლობდე ინგლისურ, ფრანგულ, ესპანურ ენებს.

რითი ილამაზებთ ცხოვრებას?

–პირველ რიგში ჩემს უსაყვარლეს შვილისშვილებთან ურთიერთობით, ასევე ადამიანებთან ლამაზი, უშუალო და სწორი დამოკიდებულებით.

როგორი გინდათ დაგიმახსოვრონ?

–ისეთი, როგორსაც აღმიქვამენ.

როცა უკან მოიხედავთ, რას ხედავთ?

–ვხედავ ჩემს განვლილ ცხოვრებას, სადაც იყო ნეგატივიც და ბევრად მეტი პოზიტივი. განსაკუთრებით კი თვალწინ მიდგას იმ პაციენტთა მომღიმარი სახეები, რომელთა სიცოცხლე გადამირჩენია უფლის წყალობით.

თქვენი ნება რომ იყოს, რას შეცვლიდით?

–ჩემი ნება რომ იყოს საქართველოს დავაბრუნებდი დავით აღმაშენებლის დროინდელ საზღვრებში. აქვე მოვიშველიებ ერთ სტროფს ჩემი საყვარელი მომღერლის გოგი დოლიძის სიმღერიდან „ხმალი ავლესოთ ქართველებო“, რომლის ტექსტის ავტორიც გახლავთ ქალბატონი თინათინ მღვდლიაშვილი

„ჩვენ სიყვარულის სარეცელზე
შეგვქმნა განგებამ
და სათნოება დაგვანათლა არსთა
გამრიგემ,
ჩვენ ვაშენებდით ბანას, ზარზმას,
გელათს, იყალთოს
და ვმაღლდებოდით ნიკოფსიიდან
დარუბანდამდე“

რისი თქმაც აღრე გინდოდათ და დღეს ჩვენთან იტყვით.

–მე თავიდანვე გითხარით, რომ ვარ პირდაპირი, რისი თქმაც საჭიროდ მიმაჩნია, ეგრევე ვამბობ.ასე, რომ ამ კითხვაზე პასუხი არა მაქვს.

რვეულ მუნიციპალიტეტში

ძველ ხიბულაში შიდა გზების რეაბილიტაცია დასრულდა

ხობის მუნიციპალიტეტის ძველი ხიბულის ადმინისტრაციულ ერთეულში „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებშიშიდა სამიმოსვლო გზების ორმული შეკეთება დასრულდა. გზის 1,3 კმ მონაკვეთზე სავალი ნაწილის მოხრეშვა განხორციელდა. პროექტის შედეგად ადგილობრივ მოსახლეობას შესაძლებლობა აქვს უმოკლესი გზით დაუკავშირდეს ახალ ხიბულასა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიას სოფელ ნარაზენის მონაკვეთზე, სარეაბილიტაციო სამუშაოების პროექტის ღირებულებამ 17913.17 ლარი შეადგინა. სამუშაოები ინდმეწარმე „გიორგი ტაბაღუამ“ შეასრულა.

დასრულებული სამუშაოები ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელმა გოჩა ქაჯაიამ გამგეობის სხვა პასუხისმგებელ პირებთან ერთად დაათვალიერა, მოსახლეობასთან შეხვედრისას, ადგილობრივ მაცხოვრებელთა მხრიდან კმაყოფილება იქნა გამოხატული განხორციელებულ პროექტებთან დაკავშირებით.

ხობელი ახალგაზრდები პროექტ „მწვანე არდადეგებში“ ჩაერთვნენ

23 აგვისტოს კოლხეთის ეროვნულ პარკში საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროს მიერ ორგანიზებულ პროექტში „მწვანე არდადეგები“ ხობელი ახალგაზრდები ჩაერთვნენ. ეკოტურისტთა ჯგუფმა, რომელშიც შედიან ცნობილი თუ საზოგადოებისათვის ჯერ უცნობი პოეტები, ახალგაზრდებს გააცნეს თავიანთი შემოქმედება, ხობელმა და ფოთელმა ახალგაზრდებმა პროექტ „მწვანე არდადეგების“ ფარგლებში საინტერესო პროგრამა წარმოადგინეს.

პროექტი 15 ოქტომბრამდე გრძელდება და ეკოტურისტებს მოუწოდებს საინტერესო დღეების გატარებას საქართველოს დაცულ ტერიტორიებზე, ახალგაზრდული პროგრამების ჩართულობით.

საბავშვო ბაგა-ბაღებში პოლონურ ჯგუფებს ინვენტარი გადაეცა

საერთაშორისო ასოციაცია „კივიტას გეორგიკა“-ს სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის კოორდინატორმა ლევან მაქაცარიამ, ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო გაერთიანების“ ახალი ხიბულის, ქვემო ქვალონისა და შავღელეს საბავშვო ბაგა-ბაღებს პოლონეთის საელჩოს დახმარება–სარემონტო მასალები და სხვადასხვა სახის ინვენტარი გადასცა.

საერთაშორისო ასოციაცია „კივიტას გეორგიკა“ ვიშეგრადის ფონდის დაფინანსებით ახორციელებს ქართული არასამთავრობო ორგანიზაციების ინსტიტუციონალური განვითარების და ტექნიკური დახმარების პროექტს. პროექტის ფარგლებში დაგეგმილია ხანგრძლივი პარტნიორული ურთიერთობების წახალისება და მხარდაჭერა როგორც სამოქალაქო სექტორსა და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის, ისე ქართულ და ევროპულ არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის.

ბაგა-ბაღებისთვის ინვენტარის გადაცემას ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე დოდო გაბუნია, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-სარევიზიო კომიის თავმჯდომარე ტარიელ ალექსანდრია და ა(ა)იპ „ ხობის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო გაერთიანების“ დირექტორი ელისო კვიკვინია დაესწრნენ.

მეტი პოზიტივია საჭირო

ბლიც–ინტერვიუ

სახელი: **ნუგზარ**

გვარი: **შუშანია**

საქმიანობა: ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო-საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე.

თქვენი წარსულის ერთი ლამაზი დღე?

– 2011 წლის 6 აგვისტო, ჩემი შვილის დაბადების დღე.

რას ინატრებდით?

–საქართველოს გაერთიანებასა და დაკარგული ტერიტორიების დაბრუნებას.

სურვილი, რომელიც ვერ აისრულეთ?

–საქართველოს გაერთიანება და ოკუპირებული ტერიტორიების დაბრუნება.

ყველაზე მეტად რას არ ისურვებდით?

–ომსა და ურთიერთდაპირისპირებას, საერთოდ შიდა სახელმწიფოებრივ კონფრონტაციას.

ვის გარეშეც ცხოვრება ვერ წარმოგიდგენიათ?

–ოჯახის.

თქვენი ყველაზე ძლიერი მხარე?

–ცხოვრების გარდამავალ პერიოდებში მიუხედავად ბევრი განსაცდელისა თუ გამოწვევისა, ზომიერების შეგრძნებას არ ვკარგავ.

თქვენი ყველაზე უცნაური თვისება?

–არ მიფიქრია, ახლობლებს ჰ კითხეთ.

რისი გჯერათ?

–ჭეშმარიტებისა და უფლისმიერების.

რასაც არასოდეს გააკეთებდით?

–იმას რაზეც არასოდეს მიფიქრია...

ადამიანში ყველაზე მნიშვნელოვანი ღირსება?

–ერთგულება.

ყველაზე მეტად რისი გეშინიათ?

–სიტყვის.

ფრაზა, რომელსაც ყოველდღიურ საუბარში ხშირად იყენებთ?

–უკან ნუ იყურები. წინ იყურე!

რა უნდა გახსოვდეთ ამ ქვეყნად ყოველთვის?

–„მამული, ენა, სარწმუნოება...“

როგორ მოხვდით პოლიტიკაში?

–სტუდენტობიდან მოყოლებული აქტიურად ვიყავი ჩართული პოლიტიკაში, 7 ნოემბრისა და 26 მაისის აქციის ერთ-ერთი მონაწილე ვარ, ჩემი პოზიციის ხმამაღლა დაფიქსირებას არასდროს გავურბოდი, ვაუღერებდი იმას, რაც შესაბამისობაში არ იყო დემოკრატიულ პრინციპებთან... დანარჩენი ბუნებრივად მოხდა.

ვინ არიან თქვენი ოპონენტები?

–ისინი, ვინც შავს თეთრისგან ვერ ასხვავებენ და რეალობის აღქმა უჭირთ.

ის, რაც ძალიან გინდათ იცოდეთ?

–რაც არ ვიცი.

რითი ილამაზებთ ცხოვრებას?

–სიყვარულითა და მეგობრობით...

როგორი გინდათ დაგიმახსოვრონ?

–დადებით პიროვნებად, სიტყვის კაცად.

როცა უკან მოიხედავთ რას ხედავთ?

–წარსულს, განვლილ გზა, საინტერესო უსიამოვნო და სასიამოვნო მოგონებებით.

თქვენი ნება რომ იყოს რას შეცვლიდით?

–საზოგადოების დამოკიდებულებას ერთმანეთის მიმართ, მეტი პოზიტივია საჭირო...

რისი თქმაც ადრე გინდოდათ და დღეს ჩვენთან იტყვით.

–ასეთი არაფერი, რადგან იმას, რისი თქმაც მსურს ყოველთვის ხმამაღლა ვიძახი, ისე ერთმანეთს თუ უფრო შევიყვარებთ, გავბედნიერდებით.

„ნათელი იგი ბნელსა ჩანს და ბნელი იგი მას ვერ ეწია“

„მართლმადიდებლობა არ იყო ჩვენთვის მხოლოდ რელიგია, ეს იყო ქართველობა, მთელი საქართველო“, რომლის გამოც არაერთი თავდადებული მამულიშვილი წამებულა.

ანდრია პირველწოდებულის, სვიმონ კანანელისა და მატათას ნატერფალებს გამოყვა ქალწული ნინო და მოჰქონდა გულით მხურვალე სიყვარული ქრისტესი...

დეკანოზი პეტრე კვარაცხელია–,,რელიგიური პროცესები ქვემო ქართლში“ (ამონარიდი)

26-27 ივლისი ბოლნისში. მადლობა უფალს, რომ ვნახე ეს მხარე, გულდასაწყვეტი იყო ის, რომ ბოლნისის მოლოცვა მარტო შვიდ მოსწავლეს, ძირითად მონაწილეებს ხვდა წილად, მაგრამ ეს საპატრიარქოს გადაწყვეტილება იყო. ახლა კი მოგიყვებით იმ სილამაზეზე და სიწმიდეებზე რაც ვნახეთ.

ქვემო ქართლი ყოველთვის ქართველ მეფეთა მთავარი საზრუნავი იყო... არაჩვეულებრივი სილამაზე... მრევლის გარეშე დარჩენილი ქრისტიანული ტაძრები... სადაც წირვა-ლოცვა მიმდინარეობს და ქრისტიანული სული სუფევს.

ქალაქ ბოლნისიდან ათი კილომეტრის დაშორებით ფოლადაურის ხეობაში მთის კალთაზე მდებარეობს წუღრუღაშენის მონასტერი. ამ მთას ვახუშტი ბაგრატიონი „მცირე მთას ბოლნისისას“ უწოდებდა. მისი გუმბათი ისეთი მაღალია, რომ ცაზე ჩამოკიდებული გეგონება. წარწერის მიხედვით ტაძარი ლაშა გიორგის აუგია... ერთ დროს გაუქმებული ყოფილა, 90-იანი წლებიდან ეს უკვე მოქმედი მონასტერია.

ბოლნისის სიონი, ეს უნიკალური ძეგლი ქართველების გარეშეა დარჩენილი, მაგრამ წირვა ყოველ კვირა ტარდება. ეკლესია ღვთისმშობლის მიძინების სახელობისაა, რომელსაც აქვს საერთაშორისო მნიშვნელობა... (შეყვანილია იუნესკოს წიგნში). ბოლნისის სიონზე სხვადასხვა დროის, შინაარსისა და დანიშნულების წარწერა მოიპოვება, მათი უმეტესობა განეკუთვნება V-X საუკუნეებს. ,,ბოლნური ჯვარი“ -ეს არის მარადიულობის სიმბოლო, რომელშიც არც დასაწყისი ჩანს და არც დასასრული, რომელმაც გაუძლო უამრავი მტრის რისხვას, განსაკუთრებით კი მონღოლთა შემოსევამ დააზიანა, მაგრამ კეთილმორწმუნე მარიამ დედოფალმა (როსტომ-ხანის მეუღლე) ისევ გააახლა. ტაძარში ყოველ კვირა წირვაა, აქ ხშირი სტუმრობაა. ჩვენ შევესწარით ფრანგ სტუმრებს, რომელნიც ქართულად გალობდნენ.

ტანძია-სულხან-საბას საგვარეულო ეკლესია და მუზეუმი, ორბელიანთა რეზიდენცია...დღეს ამ გვარს სულხან-საბას ძეგლი და მათი წარწერები გვაგონებს. სოფელი მთებს შორისაა, ტყეებითა და ბუჩქნარებით შემოსილ ბორცვებზე. ნასახლარი არსად არ ჩანს. ახლოს ორი ეკლესიაა, რომელიც საინტერესოა წარწერებით. ეზოში სულხან-საბას მუზეუმია... როგორც კი შეხვალ მუზეუმში შენს წინ გაცოცხლდება სულხანის ეპოქა...გიორგი მეთერთმეტე, ბაქარი, ვახტანგ მეექვსე, არჩილი, დავით გურამიშვილი და სხვები... აი, აქ უვლია ამ ხალხს, აქ ახლაც მათი სული ტრიალებს, აქ მათი ხმა ჩაგვესმოდა... აქ წერდა თავის ნაწარმოებებს საბა: ,,სიბრძნე სიცრუისას“... სიტყვის კონას...., აქ უგვრძვნია უდიდესი ტკივილიც და ალბათ სიამოვნებაც...

წმინდა ელიას მთა „წმინდა პეტრე და პავლე მოციქულთა სახელობის სამონასტრო კომპლექსი, ეკლესია მთის წვერზე... ცად აწვდილი წმინდა ადგილი, ეს იყო ჩვენი წინაპრების სალოცავი... აქ იგრძნობ ღმერთთან მიახლოებას. ეს ღვთის სამფლობელოა... აქ ჩაგესმის ელია წინასწარმეტყველის სიტყვები, აქ ეუფლები არაჩვეულებრივ განწყობას, აქ ასვლით მიხვდები, რომ ღვთისკენ მიმავალი გზა მეტად რთულია, მაგრამ შესაძლებელი, თუ რწმენა გაქვს და იცხოვრებ ისე, როგორც ქრისტიანი, ადვილად მიაღწევ. ღვთის ნებით, ქველმოქმედ ადამიანთა თანადგომითა და ბოლნისის მოსახლეობის თავდადებული შრომით აიგო ეს უდიდესი ძეგლი.

იქ, სადაც მდინარე მაშავერას მარცხენა მხარეს უერთდება პატარა შენა კადი-გეტი, მდებარეობს ქვეშეს ციხე, რომელიც იყო მტრისთვის ძნელად ასაღები და მტერთაგან უვნებელი...თამარ მეფის მოხელე, მთელი დასავლეთ საქართველოს მფლობელი ვარდან დადიანი თავის რეზიდენციად ქვეშეს ციხეს ირჩევს. ციხის ტერიტორიაზე აგებულია წმ. ნიკოლოზის სახელობის ეკლესია, რომელიც დარბაზული ტიპისაა. ეს არის ძლიერი საქართველოს სიმბოლო. აქაა გადაღებული „ბაშიაჩუკის“ ერთ-ერთი ეპიზოდი. დაბა კაზრეთის სამხრეთ-აღმოსავლეთით, მთის ფერდობზე, კარიერისკენ მიმავალი გზის პირას, მდინარე კაზრეთულას მარჯვენა ნაპირზე მდებარეობს მაღალი უგუმბათო ეკლესია, ეს კაზრეთის სამების მონასტერია.. აქ მოღვაწეობდა მთავარეპისკოპოსი ნიკოლოზ ბოლნელი. დღევანდელ ქვემო ქართლში ეკლესია -მონასტრების აღდგენა-განახლებაში უდიდესი ღვაწლი აქვს ბოლნისის ეპარქიის მეუფეს, ეფრემს....

ბოლნისის ეპარქიის მოლოცვა იყო ღვთის მადლი... მადლობა უფალს და უდიდესი მადლობა ლენტეხისა და ცაგერის მაღალ ყოვლადუსამღვდელეოსებას მთავარეპისკოპოსს მეუფე სტეფანეს, ის დიდ ქრისტიანულ საქმეს აკეთებს...

ექვსი წელია საქართველოში ტარდება ბიბლიის კონკურსი... და გამარჯვებულებს, ტაო კლარჯეთსა და იერუსალიმში უშვებენ მოსალოცად, ჩვენ კი წილად გვხვდა ბოლნისის ეპარქია...ეს იყო უდიდესი მადლი ღვთისგან ბოძებული... ეს იყო ჩემი და ჩემი ბავშვების სულიერი აღზევება. უდიდესი მადლობა ბოლნელ ეპისკოპოსს მეუფე ეფრემს, რომელიც უხმაუროდ ეწევა წინაპართა თავდადების ფასად შენარჩუნებულ მიწა-წყალზე, ჭრელ ეთნიკურ კუთხეში ეკლესია-მონასტრების აღდგენა–განახლებასა და ქრისტიანობის შენარჩუნებასა და დაცვას. იქ ვნახეთ სიმშვიდე, სიწმინდე, სიყვარული, იქ მივიღეთ სითბო და სიყვარული, ვნახეთ სტუმართმოყვარეობა... უდიდესი პატივისცემა და სასულიერო პირთა ცხოვრება და მოღვაწეობა.. მადლობა იმ საჩუქრებისთვის რაც გაგვიკეთა მეუფე ეფრემმა.უდიდესი მადლობა მონაზვნებს-თეოდორას, ნონექიას, მორჩილ შუშანიკს გულთბილი მიღებისთვის... მადლობა იქაურ მცხოვრებლებს მასპინძლობისთვის ბოლნისში ჩვენ ვნახეთ უდიდესი სიყვარული რწმენისა და უდიდესი დაფასება მეუფე ეფრემის მიმართ.

უდიდესი მადლობა საპატრიარქოს ახალგაზრდული ცენტრის უფროსს გიორგი ფარეშიშვილს, რომელიც უდგას გვერდით საპატრიარქოს, იღვწის, ქრიასტიანობა ასწავლოს მოსწავლეებს, გააცნოს ქართული ქრისტიანული ძეგლები საქართველოსა და უცხოეთში. ქვემო ქართლი, სამხრეთის კარიბჭე, წარმოადგენდა მტრის დასაყრდენს, ბევრჯერ სცადეს მისი მოკვლა, მაგრამ ვერ შეძლეს.. სისხლის ფასად შენარჩუნდა მართლმადიდებლობა, ბურჯი ეროვნებისა,.,,განა შეიძლება დაივიწყო ხუთასი ბოლნელის დაუვიწყარი გმირული ისტორია? არ მომკვდარა ქრისტიანობა და ქართველობა ...ისევ აინთო ამ კუთხეში მტრების მიერ უთვალავჯერ გათელილი კელაპტარი და დღეს ,,ნათელი იგი ბნელსა ჩანს და ბნელი იგი მას ვერ ეწია“

ქრისტესმიერი სიყვარულით
ნინელი (მზია) ხუხია,
პირველი მაისის საჯარო სკოლის პედაგოგი

სპორტი

„ცოტნეობა“ – 2014

ჟურნალისტ გოგი ბუკიას ხსოვნას მიეძღვნა

9–12 აგვისტოს ქ. ხობში, კულტურის სახლის ფოიეში, ჩატარდა გოგი ბუკიას ხსოვნისადმი მიძღვნილი მუნიციპალიტეტის პირველობა ნარდში. 55 მონარდე რამდენიმე დღე ეჯიბრებოდა ერთმანეთს, შეჯიბრება საინტერესოდ წარიმართა და პრიზიორები და გოგი ბუკიას სახელობის თასის მფლობელები გამოავლინა.

მესამე ადგილი დაიკავა ხობელმა ლევან ფოცხორაიამ, ხოლო მეორე ადგილი ერგო ასევე ხობელ იკა წურწუმიას. ორივე გამარჯვებული დაჯილდოვდა შესაბამისი ადგილისთვის განკუთვნილი პრიზით, სიგელით და ფულადი ჯილდოთი.

გოგი ბუკიას სახელობის პრიზით დაჯილდოვდა ტურნირის ღირსეული ჩემპიონი ხეთელი გურამ ვართაგავა, რომელსაც ასევე გადაეცა სიგელი და ფულადი ჯილდო. იგი როგორც მუნიციპალიტეტის ჩემპიონი სექტემბერში დაბა ჩაქვში მონაწილეობას მიიღებს გოგი ბუკიას სახელობის საერთაშორისო ტურნირზე.

დაჯილდოებას ესწრებოდნენ მუნიციპალიტეტის გამგებელი გოჩა ქაჯაია, გამგებლის მოადგილე ვარაზ გაბედავა, საკრებულოს თავმჯდომარე ედიშერ ჯობავა, მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროს ხელმძღვანელი ბატონი რევაზ წულაია, რომელმაც საქართველოს პარლამენტის მაჟორიტარი დეპუტატის გოდერძი ბუკიას მიერ დაწესებული პრიზი ჩემპიონს გურამ ვართაგავას გადასცა.

ჭადრაკი

9-12 აგვისტოს, ქ. ხობში, საჭადრაკო კლუბ „ლაზიერში“ ვეტერანი მოჭადრაკეების ძმების რუბენ და იური ბახიების ხსოვნისადმი მიძღვნილი ხობის მუნიციპალიტეტის პირველობა გაიმართა. ვეტერანი მოჭადრაკეები 4 დღის განმავლობაში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს.

მესამე ადგილი დაიკავა რომანოზ ჯგერენაიამ, მეორე ადგილი ერგო ნუგზარ შონიას, რომლებიც დაჯილდოვდნენ მესამე და მეორე ადგილისთვის განკუთვნილი თასით და სიგელით. ასევე სამეგრელო ზემოსვანეთის ჭადრაკის რეგიონალური ფედერაციის მიერ დაწესებული პრიზით.

ტურნირის ღირსეული გამარჯვებული გახდა გულად დგებუაძე, რომელიც დაჯილდოვდა პირველი ადგილისათვის განკუთვნილი თასით, სიგელით და სამეგრელო ზემოსვანეთის ჭადრაკის ფედერაციის მიერ დაწესებული პრიზით.

სპეციალური პრიზებით და სიგელებით დაჯილდოვდნენ არჩილ შამუგია და ზურაბ ბებურია. საუკეთესოები დაჯილდოვეს საქართველოს პარლამენტის წევრმა მაჟორიტარმა დეპუტატმა გოდერძი ბუკიამ.

დაჯილდოებას ესწრებოდნენ მუნიციპალიტეტის გამგებელი გოჩა ქაჯაია, გამგებლის მოადგილე ვარაზ გაბედავა, საკრებულოს თავმჯდომარე ედიშერ ჯობავა, მსახიობი ბესო ვერულაშვილი, კოალიცია „ქართული ოცნების“ სამეგრელოს შტაბის ხელმძღვანელი გაიოზ მონიავა, საქართმელოს პარლამენტის მაჟორიტარი დეპუტატის გოდერძი ბუკიას ბიუროს ხელმძღვანელი რევაზ წულაია და სხვები.

ქართული ჭიდაობა

12 აგვისტოს ქ. ხობში „ცოტნეობის“ დღესასწაულზე ქართული ჭიდაობის მანეჟზე გაიმართა ხობის მუნიციპალიტეტის პირველობა ქართულ ჭიდაობაში.

მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობა მთელი დღის განმავლობაში ეპაექრებოდა ერთმანეთს. შეჯიბრება შვიდ სხვადასხვა წონით კატეგორიაში გაიმართა, წონითი კატეგორიების მიხედვით გაიმარჯვეს:

45 კილოგრამიან წონით კატეგორიაში:

1. გიორგი სოსელია (საჯიჯაო);
2. გოგა პერტახია (საჯიჯაო);
3. მამუკა ჯოჯუა (ს/მაისი).

52 კილოგრამიან წონით კატეგორიაში:

1. ნიკა ყორშია (ს/მაისი);
2. დათა ხოშტარია (ქვ. ქვალონი);
3. იოანე ცქიტიშვილი (ქვ. ქვალონი).

60 კილოგრამიან წონით კატეგორიაში:

1. გიორგი ლაგვილავა (ქვ. ქვალონი);
2 ირაკლი კემულარია (საჯიჯაო);
3. კოკა თირქია (საჯიჯაო).

66 კილოგრამიან წონით კატეგორიაში:

1. ბექა შეუჯენი (ქვ. ქვალონი);
2. ანზორ მიქავა (საჯიჯაო);
3. თემურ მიქაბერიძე (ქვ. ქვალონი).

74 კილოგრამიან წონით კატეგორიაში:

1. გოგა ჯაჯავა (ქვ. ქვალონი);
2. გიორგი ბოკუჩავა (ქვ. ქვალონი);
3. გოგა გვასალია (ქვ. ქვალონი).

80 კილოგრამიან წონით კატეგორიაში:

1. ნიკა ცაგურია (ქვ. ქვალონი);
2. კახა ჯანჯღავა (ქვ. ქვალონი);
3. შოთა იოსავა (შ/ხორგა).

+80 კილოგრამიან წონით კატეგორიაში:

1. გოჩა გვაძაბია (ქვ. ქვალონი);
2. სლავა ნაჭყებია (ახ. ხიბულა);
3. ირაკლი ჭითანავა (ს/მაისი).

აღსანიშნავია ქვალონელ მოჭიდავეთა წარმატებები, მათ შვიდიდან ხუთ წონით კატეგორიაში გაიმარჯვეს. ჩემპიონები დაჯილდოვდნენ პირველი ადგილისთვის განკუთვნილი თასებით და სიგელებით, ხოლო პრიზიორები სიგელებით.

დაჯილდოების ცერემონიალს საქართველოს პარლამენტის წევრი მაჟორიტარი დეპუტატი ბატონი გოდერძი ბუკია, მუნიციპალიტეტის გამგებელი ბატონი გოჩა ქაჯაია, გამგებლის მოადგილე ბატონი ვარაზ გაბედავა, საკრებულოს თავმჯდომარე ბატონი ედიშერ ჯობავა, სამეგრელოს რეგიონის კოალიცია „ქართული ოცნების“ ხელმძღვანელი გაიოზ მონიავა, ქ. ფოთის მერი ბატონი ირაკლი კაკულია, მარტვილის მუნიციპალიტეტის გამგებელი ბატონი ალექსანდრე გრიგალავა, მსახიობი ბესო ვერულაშვილი მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროს ხელმძღვანელი ბატონი რევაზ წულაია.

მინი ფეხბურთი

4–8 აგვისტოს სოფელ ხეთაში ჩატარდა რუსული აგრესიის შედეგად ტრაგიკულად დაღუპული რეზერვისტების გოგა ჭითანავას და ლევან ტურავას სახელობის თასის გათამაშება მინიფეხბურთში.

შეჯიბრებაში რვა გუნდი იღებდა მონაწილეობას, რომლებიც გაერთიანდნენ ორ A და B ჯგუფებში.

A ჯგუფში ასპარეზობდნენ ხეთის ცენტრის, ხობის, ხამისკურისა და „საძმოს“ გუნდები.

B ჯგუფში გამოდიოდნენ პირველი მაისის, წინაგოლის „ფინკა“ ბანკისა და ხეთის „იმედის“ ფეხბურთელთა გუნდები. ჯგუფური თამაშების შემდეგ გამოვლინდნენ ნახევარფინალისტები, რომლებიც ასე დაწყვილდნენ: ხეთის „ცენტრი“–პირველი მაისი, ხობი–წინაგოლა.

ხეთის ფეხბურთელებმა დიდი ანგარიშით დაამარცხეს პირველი მაისელები და ფინალში გავიდნენ. წინაგოლელმა ფეხბურთელებმა ასევე ადვილად სძლიეს ხობელებს. ფინალში ერთმანეთს ხეთის ცენტრისა და წინაგოლის გუნდები დაუპირისპირდნენ ცენტრის ფეხბურთელებმა აშკარად დაჯაბნეს წინაგოლელები და დამსახურებული გამარჯვება მოიპოვეს.

ამრიგად, პირველი ადგილისთვის განკუთვნილი თასი და სიგელი ერგოთ ხეთის ცენტრის ფეხბურთელებს, მეორე ადგილისთვის განკუთვნილი თასი და სიგელი გადაეცათ წინაგოლელებს. მესამე ადგილისთვის განკუთვნილი თასით და სიგელით დაჯილდოვდნენ სოფელ ს/მაისის ფეხბურთელები. ტურნირზე სხვადასხვა ნომინაციებში დაწესებული იყო პრიზები საუკეთესო მოთამაშეებისათვის.

საუკეთესო მეკარე გახდა ირაკლი საბეკია (ხობი);

საუკეთესო მცველი–ირაკლი სხულუხია (ცენტრი);

საუკეთესო ნახევარმცველი–ბაკურ ბუკია (ს/მაისი);

საუკეთესო თავდამსხმელი–რაულ ლატარია (ცენტრი);

საუკეთესო ბომბარდირი–მათე ჭითანავა (ცენტრი);

ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარეს გიორგი ჯანჯღავა (წინაგოლა).

საპრიზო ადგილებზე გასული გუნდები, ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელები, სხვადასხვა ნომინაციაში გამარჯვებულები, დაჯილდოვეს მუნიციპალიტეტის გამგებელმა ბატონმა გოჩა ქაჯაიამ, გამგებლის მოდგილემ ბატონმა ვარაზ გაბედავამ, საკრებულოს თავმჯდომარემ ბატონმა ედიშერ ჯობავამ, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ ბატონმა ტარიელ ალექსანდრიამ, საკრებულოს ეკონომიკური განვითარების საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბატონმა გოჩა სიჭინავამ, ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის წარმომადგენელმა სოფელ ხეთაში შავლეგ ბუკიამ და გოგა ჭითანავას ძმამ ლევან ჭითანავამ.

დაჯილდოებისას წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს აგვისტოს ომის დროს დაღუპულ გმირებს. დაჯილდოების დამთავრების შემდეგ მუნიციპალიტეტის გამგებელმა ბატონმა გოჩა ქაჯაიამ და საკრებულოს თავმჯდომარემ ბატონმა ედიშერ ჯობავამ სიტყვით მიმართეს დამსწრე საზოგადოებას და კიდევ ერთხელ გაიხსენეს ხობელი გმირები.

ლელო

4 აგვისტოს სტარტი აიღო ხობის მუნიციპალიტეტის პირველობამ ლელოში. აღსანიშნავია, რომ ასეთი მასშტაბური ღონისძიება ლელოში მრავალი წელია ჩვენს მუნიციპალიტეტში არ ჩატარებულა.

გუნდები ტერიტორიული პრინციპით 4 ზონაში (შ/ხორგის, ხეთის, საჯიჯაოს და ხობის) გადანაწილდნენ. პირველ ადგილზე გასული გუნდები ნახევარფინალში ეცილებოდნენ ერთმანეთს, შ/ხორგის ზონაში ყველა მეტოქე დაჯაბნა პატარა ფოთის გუნდმა. საჯიჯაოს ზონაში გაიმარჯვა ძვ. ხიბულის ლელოს გუნდმა, ხეთის ზონაში ყველას აჯობეს ხეთელებმა, ხოლო ხობის ზონაში ყველა მეტოქეს სძლიეს ხობელებმა.

12 ავისტოს, „ცოტნეობის“ დღესასწაულზე, ხობის ცენტრალურ სტადიონზე გაიმართა ნახევარფინალური და ფინალური მატჩები. პირველ ნახევარფინალურ მატჩში ძვ. ხიბულელებმა დაძაბულ ბრძოლაში დაამარცხეს პატარა ფოთელები და ფინალში გავიდნენ.

მეორე ნახევარფინალში ხობელებმა ადვილად სძლიეს ხეთელებს. შემდეგ გაიმართა მატჩი მესამე ადგილისთვის პატარა ფოთისა და ხეთის ლელობურთელთა შორის. ლელო დაძაბულად წარიმართა და დამთავრდა ს/ფოთის ლელოელთა სასარგებლოდ. მათ გადაეცათ მესამე ადგილისათვის განკუთვნილი თასი და სიგელი.

ფინალურ მატჩში ხობელებმა დიდი ანგარიშით და აშკარა უპირატესობით სძლიეს ძვ. ხიბულის გუნდს და დამსახურებულად გახდნენ ჩემპიონები. ამრიგად, მეორე ადგილი დაიკავა ძვ. ხიბულის გუნდმა, ხოლო შეჯიბრების ღირსეული გამარჯვებული გახდა ხობის გუნდი, ფინალისტები დაჯილდოვდნენ პირველი და მეორე ადგილებისათვის განკუთვნილი თასებით და სიგელებით, დაჯილდოებას უძღვებოდნენ სამეგრელო ზემო-სვანეთის სახელმწიფო რწმუნებული–გუბერნატორი ლევან შონია, გუბერნატორის მოადგილე კობა ქანთარია, მუნიციპალიტეტის გამგებელი გოჩა ქაჯაია, გამგებლის მოადგილე ვარაზ გაბედავა, საკრებულოს თავმჯდომარე ედიშერ ჯობავა, საქართველოს რაგბის კავშირის წევრი დავით კილასონია, მსახიობი ბესო ვერულაშვილი და სხვები. დავით კილასონიამ სამახსოვრო საჩუქარი გადასცა მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს ბატონ ედიშერ ჯობავას მუნიციპალიტეტში ლელოს განვითარების საქმეში გაწეული ღვაწლისათვის.

საეკლესიო-საერო დღესასწაულ „ცოტნეობისადმი“ მიძღვნილი ღონისძიებები წარმატებით დაგვირვინდა და საზოგადოებაში დიდი ინტერესი გამოიწვია.

სპორტული გვერდისთვის მასალები მოგვაწოდა ლევან ლემონჯავამ (ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის მთავარი სპეციალისტი სპორტის საკითხებში).

სულთათანა

მარო გოგია

გამორჩეული ექიმი, დედა, მეუღლე, ასე იცნობდნენ ქალბატონ მარო გოგიას ხობის სამედიცინო საზოგადოებაში.

გზას, რომელიც მან გაიარა სიკეთის გზა ქვია...

სრულიად პატარა–9 წლის დაობლდა. მშობლების დაკარგვამ გადააწყვეტინა ექიმი გამხდარიყო და მიზნის მისაღწევად სიკეთის კეთების სურვილი და ფიქრი მას ძალას მატებდა.

ომი, საშინელი სიდუხჭირე, შიმშილი, ობლობა... რა არ გადაიტანა ცხოვრების რთულ გზაზე, მაგრამ მიზანს მაინც მიაღწია–ექიმი გახდა. ამის შემდგომ კი ჰიპოკრატეს ფიცი გახდა მისი ცხოვრების თანმდევი. ხალხის სამსახურში ჩადგა და მთელი თავისი შეგნებული, ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე უანგაროდ, სიყვარულით ემსახურა მათ.

სახელოვანმა ექიმმა ოჯახიც ძალიან კარგი შექმნა. თავისი ბედი დაუკავშირა ხობის რაიონში პატივსაცემ ადამიანს–ვლადიმერ ტორჩინავას. მათ ღირსეული შვილები გაუზარდეს სამშობლოს: ზაური პედაგოგია, ჯულიეტა–ექიმი, არჩილი-იურისტი. მათაც სახელოვნად განვლეს თავიანთი ცხოვრება, შექმნეს კარგი ოჯახები, გააგრძელეს ოჯახის ტრადიცია.

შვილიშვილები: ვლადიმერი (ლადო), მაია, ბაქარი, ნანა, მარიკა, ანა–წარმატებულნი არიან თავიანთ საქმიანობაში.

შვილთაშვილები: არჩილი, დათო, თემური, ლუკა და გიას ერთადერთი ქალიშვილი–ელენე.

შენი საყვარელი შვილიშვილიგია კი შენთანაა. გიას მშობლებისთვის–ჯულიეტა და კარლო შონიებისთვის მისი დაკარგვით გამოწვეული ცრემლის შეშრობა და აუტანელი ტკივილის ოდნავ მაინც შემსუბუქება მის ერთადერთ ქალიშვილს–ელენეს შეუძლია მხოლოდ. გვჯერა, რომ სახელოვანი ქალიშვილი გაიზრდება და საყვარელი მამის ნათელ ხსოვნას არასოდეს დაივიწყებს.

ქალბატონ მაროს საოცარი კეთილშობილების დასტური იყო ისიც, რომ ობლად დარჩენილი მაზლიშვილი გენო დედამისთან-ძაბულისთან ერთად საკუთარ ოჯახში მიიღო, როგორც საკუთარ შვილს დედობრივ ზრუნვას და სიყვარულს არ აკლებდა. ამაგი კი დაუფასდათ, მაგრამ დასანანია, რომ გენო ტორჩინავა ცხოვრებაში მეტად წარმატებული, სრულიად ახალგაზრდა წავიდა ამქვეყნიდან.

ქალბატონი მარო არაჩვეულებრივი მეუღლე, ოჯახისა და შვილებისთვის თავდადებული დედა ვალმოხდილი წავიდა ამქვეყნიდან. იგი იყო ჭეშმარიტი მკურნალი, გაჭირვებულის დამხმარე, მისი თანამდგომი, ყველასათვის სიკეთის მსურველი და მთესველი, კეთილშობილი, უანგარო, შრომისმოყვარე, მაღალი ზნეობრივი და სულიერი ღირებულებების მატარებელი–ამიტომაც დაიმსახურა ნაცნობების უსაზღვრო სიყვარული და პატივისცემა.

„სქან გოლუაფირო მარო ექიმი“–ეს იყო მის მიერ ათასობით განკურნებული პაციენტის და ყველა ახლობლის საყვარელი მიმართვა მისადმი და ამ სიტყვებით იხსენებენ დღესაც.

ომის პერიოდში მტრის ზურგში მუხლჩაუხრელი შრომისათვის მიღებული ჰქონდა მთავრობის უმაღლესი ჯილდოები, იყო რესპუბლიკის დამსახურებული ექიმი და პერსონალური პენსიონერი.

შენ სამუდამო სამყოფელში წახვედი. იძინე მშვიდად, შენს საყვარელ ადამიანებთან ერთად. ჩვენ კი უფალს შევავედრებთ, რომ შენი ლამაზი სული დაამკვიდროს იქ, სადაც მართალნი განისვენებენ.

მერი ლაგვილავა.

მამოსათხოვარი

ელისო იოსავა

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამშრომლები ღრმა მწუხარებას გამოვთქვამთ საკრებულოს აპარატის წამყვანი სპეციალისტის ელისო იოსავას გარდაცვალების გამო.

ელისო იოსავა იყო ის პიროვნება, რომელიც თავისი არსებობით ალამაზებდა ჩვენს მუნიციპალიტეტს, რთულია მასზე წარსულ დროში საუბარი, მოულოდნელად წავიდა ამქვეყნიდან და ერთდროულად დანანება და დიდი ტკივილი გამოიწვია. ის იყო კარგი მეგობარი, რომელსაც მუდამ ღიმილი დასთამაშებდა სახეზე.

ელისო იოსავამ 1959 წელს, სრულიად ახალგაზრდამ დაიწყო მუშაობა ქ. ხობის „მახარაძის“ სასოფლო კლუბის გამგედ, 1960 წლიდან მუშაობა განაგრძო ქ. ხობის „მახარაძის“ სასოფლო ბიბლიოთეკის გამგედ. 1965 წლიდან მუშაობდა ხობის რაიკომის პოლიტიკური განათლების კაბინეტის ბიბლიოთეკარად. 1991 წელს განხორციელებული რეორგანიზაციის შედეგად მუშაობა განაგრძო ხობის რაიონის პრეფექტურის ბიბლიოთეკის გამგედ. 1992 წლიდან გადაყვანილიქნა ხობის რაიონის გამგეობის საერთო განყოფილებაში მთავარ სპეციალისტად, ხოლო 2007 წლიდან დღემდე მუშაობდა ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში წამყვან სპეციალისტად. ის იყო თავისი საქმის უზადო პროფესიონალი, გამოირჩეოდა დიდი შრომისმოყვარეობით, წლების განმავლობაში უანგაროდ და ენერგიულად ემსახურებოდა ხობის მუნიციპალიტეტს.

ჩვენ, მის კოლეგებს დიდხანს გვემახსოვრება ღირსეული თანამშრომელი, რომელზეც დაგვრჩა მხოლოდ კარგი და ტკბილი მოგონებები.

უფალმა მის სულს ცათა სასუფეველი დაუმკვიდროს.

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დიდი ტკივილი და მონატრება დაგვიტოვა

როგორი მწუხარე და მძიმე დღე გაგვითენე, ჯერაც ვერ ვიჯერებთ შენს არყოფნას, ასე უეცრად, უჩუმრად წახვედი და დიდი სევდა და ტკივილიანი დღეები დაგვიტოვე.

სიკეთით, სიყვარულით იყავი სავსე, მუდამ იღიმოდი, თუმცა შენი ცხოვრება სავსე იყო სევდით, ცრემლით და დიდი ტკივილით, დასტიროდი ამქვეყნიდან ნაადრევად წასულ ძმებს, შენს გაზრდილ ძმისშვილს, რძალს.

55 წელი იმუშავე პარტიის ხობის რაიონული კომიტეტში, ადგილობრივი მმართველობის გამგეობაში, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოში და ყველგან უდიდესი პასუხისმგებლობით, საქმის ზედმიწევნით ცოდნით ასრულებდი შენზე დაკისრებულ მოვალეობას.

შენი ერთგული, თავდაუზოგავი მუშაობა ხშირად აღუნიშნავთ ხელმძღვანელ პირებს, შენს კოლეგებს და არა ერთხელ წაუხალისებიხართ ჯილდოებით, სიგელებით, ფასიანი საჩუქრებით.

ჩემო ელისო, ძალიან მიჭირს შეგუება შენს არყოფნასთან. ინსტიტუტი ახალი დამთავრებული მქონდა, როდესაც ხობში დავიწყე მუშაობა, სადაც შენ დამხვდი მეგზურად შენეული სითბოთი, სიყვარულით, ღიმილით და ეს მეგობრობა 35 წელი გრძელდებოდა. ამ ხნის მანძილზე ჩვენს შორის ხინჯი და ბზარი არ გაჩენილა.

შენს ოჯახში ძალიან უჭირთ უშენობა. ფრთამოტეხილი დატოვე შენი მეუღლე ირო, რომლის ავადმყოფობასაც საშინლად განიცდიდი.

შენს ერთადერთ ქალიშვილ–მარიკას, რომელიც ყველას და ყველაფერს გერჩია, მთელი შენი ცხოვრება მიუძღვენი. ბევრს ფიქრობდი მის აღზრდაზე, განათლებაზე, ცდილობდი მისთვის მშვიდი და სასიამოვნო გარემო შეგექმნა. ამაგი არ დაგკარგვია, ცხარე ცრემლებით მიგაცილა უკანასკნელ გზაზე, გჯეროდეს, მარიკა შენი კარგი ადამიანობის, კარგი საქმეების გამგრძელებელი იქნება.

წახვედი ამქვეყნიდან მარადისობაში და ყველას–ოჯახს, სიძეს, შვილიშვილებს, თანამშრომლებს, მეზობლებს დაუტოვე დიდი ტკივილი და მონატრება.

ჩვენს შორის აღარ ხარ ლამაზი, თბილი, ღიმილით მოსაუბრე ქალბატონი და უერთგულესი თანამშრომელი, შენს ხსოვნას დავიწყება არ უწერია.

ნათელი და მსუბუქი იყოს შენთვის სამარადისო სასუფეველი.

დინა ჯანჯღავა.

ნუგზარ (ნუტი) ლემონჯავა



უკვე უშენობის ერთი წელი მიილია! ტკივილიანი, სევდიანი და ულოგიკო...

დილა მშვიდად და ლამაზად გათენდა, მაგრამ უცაბედად შეეკრა წარბი, თითქოს იგრძნოო ბუნებამ დიდი დანაკლისი...

ზაფხულს ძალუმად გაეშალა ფრთა... აგვისტო იყო–მარიამობის თვე... ზაფხული იყო თბილი, მზიანი და მხიარული... ახლა კი უშენოდ ცივია, წვიმიანი და სევდიანი... დღითიდღე გვახსენებს თავს ბიბლიური შეგონება „გახსოვდეთ სიკვდილი“ და უკვე ყოველ დღეს სიკვდილზე ფიქრით ვხვდებით... შენს გარეშე, სიცარიელის შეგრძნებით სავსე, შენს ემოციებს მოკლებული...

დღეს დრო, თავისი ლოგიკითა და ლოგიკის გარეშე, უშენობას გვასწავლის, რთული გაკვეთილია და სახელად „მონატრება“ ჰქვია. შენ ხომ სიყვარულსა და სითბოს გვასწავლიდი, მარტივი და საინტერესო გაკვეთილი იყო და ჩვენ არასოდეს ვაცდენდით ამ გაკვეთილს...

მოგონებები?! არა, ამას ალბათ შენს გარეშე გატარებული წამით წამება ჰქვია.

ყოველი წუთი საუკუნეა უშენოდ, გვენატრება შენი თბილი სიტყვები, ღიმილი, თვალები, შენი სიყვარულით სავსე ხმა. ყველაზე მეტად გვენატრება შენგან ნათქვამი, „მიყვარხარ“...

ჩვენი ცხოვრების უდიდესი ტკივილი ხარ... ჩვენი სევდის, ცრემლის, ტკივილის უცვლელი მიზეზი, შენა ხარ ნუტო!.. დაუვიწყარო... უკურნებელო!..

2013 წლის 11 აგვისტოდან გვჯერა, რომ მთელი ცხოვრება ზღაპარია, რომელსაც „უშენობა“ ჰქვია...

„დარდი ვერ გაგვიქრო
განშორებამ,
იცი?! დღეს ჩვენ ისევ
გვედარდები.
ვიცით, რომ დაგკარგეთ
სამუდამოდ
ვიცით და მაინც გვენატრები...
გრძნობა მოგვეახლა
შენი ნახვის,
გული მოლოდინით აგვიტირდა,
კიდევ გავუძლებდით
სიმარტოვეს,
მაგრამ უშენობა გაგვიჭირდა.
ისევ ძველებურად გვენატრები,
აღარც სიხარული გვიძველდება,
ვიცით, აღარასდროს
დაბრუნდები,
მაგრამ დაჯერება გვიძნელდება.“

თანაკლასელების
სახელით
მონიკა ბახტაძე.

P.S. სოფელ ქვემო ქვალონში სტარტი აიღო ნუგზარ (ნუტი) ლემონჯავას სახელობის ტურნირმა, რომელშიც მონაწილეობენ მარტვილის, ზოთის, სენაკისა და ხობის ნორჩი ფეხბურთელები.

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო და გამგეობა იუწყება, რომ გარდაიცვალა საკრებულოს აპარატის წამყვანი სპეციალისტი

ელისო იოსავა

და თანაუგრძნობენ მის ოჯახსა და ახლობლებს.

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო თანაუგრძნობს საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსს თენგიზ ბუკიას მამის

რევაზ ბუკიას

გარდაცვალების გამო.

ახალი ხიბულის №2 საჯარო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი მწუხარებაში თანაუგრძნობს ამავე სკოლის მასწავლებელს მარინა კაკაშვილს დედის

ლიანა ბერაია-კაკაშვილის

გარდაცვალების გამო.

გიხარიოდეთ!

წარმოუდგენლად დიდი სიხარული

ქართულ ენაში არსებობს სიტყვა „ვაუკაცი“, რომელსაც ჯერ კიდევ არ მოუშორებია ისტორიისგან გამოყოლილი ნიშანი ფიზიკური ძლიერებისა, ამასთანავე იგი გულისხმობს პიროვნების ძალასა და სიყოჩაღეს, რომელთანაც სულიერი სიმტკიცეც არის დაკავშირებული, ტრადიციული გაგებით „ვაუკაცი“ გამარჯვების იმედით იბრძვის, ის მზად არის შეუპოვარი, პატიოსანი, ღირსეული ქმედებით მიაღწიოს მიზანს.

მიზანს მიაღწია და ჩვენი მუნიციპალიტეტი ასახელა საჯიჯაოს №1 საჯარო სკოლის XI კლასელმა (დირექტორი მაია შუშანია, კლასის ხლმძღვანელი ნინო პერტახია), რომელმაც მსოფლიო ჩემპიონის ტიტული მოიპოვა ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში. მაშ ასე, იცნობდეთ **ჯონი ხეცურიანი**

–დავიბადე 1998 წლის 20 მარტს. ვსწავლობ საჯიჯაოს №1 საჯარო სკოლაში, მეშვიდე კლასში ვიყავი, როცა ჭიდაობაში მეცადინეობა დავიწყე. ხელი შემიწყო იმან, რომ 2011 წელს საჯიჯაოს კულტურის სახლთან (დირექტორი ქეთინო კაკაშვილი) გაიხსნა ჭიდაობის წრე, რომელსაც ზვიად ჭითაშვილი და ალმასხან ხუნჯუა ხელმძღვანელობდნენ. ჩვენი წვრთნები სცილდებოდა განსაზღვრულ საათებს, ვვარჯიშობდი დაუზოგავად, სისტემატურად, პირველი გამარჯვება მოვიდა 20013 წელს, როდესაც ჩატარდა საქართველოს ჩემპიონატი, სადაც მეორე ადგილი ავიღე. მერე იყო 2014 წელი, როცა საქართველოს ჩემპიონის ტიტული მოვიპოვე ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში. ამას მოჰყვა საერთაშორისო ტურნირი თურქეთის ქალაქ ანტალიაში, რომელშიც 12 ქვეყანის სპორტსმენი იღებდა მონაწილეობას და სადაც პირველი ადგილი დავიკავე.

იმავე 2014 წელს მონაწილეობა მივიღე მსოფლიო ჩემპიონატში, რომელიც სლოვაკეთის ქალაქ სნინაში ჩატარდა, სადაც გავხდი მსოფლიო ჩემპიონი.

მამუკა ყორშია–(ხობის მუნიციპალიტეტის აიპ „განათლების ცენტრის სასპორტო სკოლის უფროსი მწვრთნელი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში)–თავიდან საჯიჯაოს კულტურის სახლთან არსებულ ჭიდაობის წრეში გაერთიანებული იყო ორმოცი ახალგაზრდა, მაგრამ ჯონი მათგან გამოირჩეოდა შრომისმოყვარეობით, სპორტული მონაცემებით; იგი გულდასმით ვარჯიშობდა, არ ეზარებოდა ერთი და იგივე ვარჯიში ეკეთებინა მრავალჯერ. როცა შევატყვეთ, რომ ჰქონდა სწრაფვა გამარჯვებისკენ, დავიწყეთ მისი წაყვანა ადგილობრივი მნიშვნელობის ტურნირებზე. მისმა შრომამ ნაყოფი გამოიღო.

ალუდა ხუნჯუა–(თბილისის 104-ე საჯარო სკოლის მწვრთნელი ჭიდაობაში)–საქართველოს ჩემპიონატის ჩატარებამდე სამი თვით ადრე ზვიადიმ და ალმასხანმა მოიყვანეს ჯონი თბილისში, ამიხსნეს, რომ მას კარგი მონაცემები ჰქონდა და საჭირო იყო გადამეხედა მისთვის. დავიწყე მისი მომზადება, ამაში ხელს უკეთესი სპორტული ბაზის არსებობაც მიწყობდა, კერძოდ, დარბაზის სიდიდე, მეწყვილეთა ყოლა, რომლებთანაც შეეძლო ვარჯიში. წვრთნებს არ გადიდოდა საზღვარგარეთ, იქ მხოლოდ ტურნირებში მონაწილეობდა. ეს ქვეყნებია–აზერბაიჯანი, თურქეთი, ბულგარეთი, რომლიდანაც ყოველთვის ჩამოჰქონდა სხვადასხვა სინჯის მედლები. 15 წელი ვიყავი მწვრთნელი, ამდენად გამოცდილება მქონდა მევარაუდა ჯონის მიღწევაზე, შედეგმა მოლოდინს გადააჭარბა, თითქოს მე გავხდი ჩემპიონი, ვტიროდი...

ალმასხან ხუნჯუა (მწვრთნელი)–ყველა სპორტსმენი ოცნებობს ჩემპიონობაზე, მაგრამ მას მხოლოდ ტიტანური შრომით თუ მიაღწევ, ვვარაუდობდი რომ ჯონი სამეულში მოხვდებოდა, მგარამ იგი მსოფლიო ჩემპიონი გახდა, ეს იყო წარმოუდგენლად დიდი სიხარული.

ზვიად ჭითაშვილი –(მწვრთნელი) –იმ დღეს, როცა ჯონი მსოფლიო ჩემპიონი გახდა ალბათ ყველაზე ბედნიერი ადამიანი ვიყავი, როცა იგი ჩემპიონატზე მიდიოდა გვითხრა–ისე არ ჩამოვალ, რაღაც არ ჩამოგიტანოთო, ეს „რაღაც“ მსოფლიო ჩემპიონობა გახდა.

კითხვაზე–„რა არის წარმატების რეცეპტი“–ყველანი ერთნაირად მპასუხობენ–შრომით და მხოლოდ შრომით მიიღწევა წარმატებები.

გვინდა მადლობა გადავუხადოთ საჯიჯაოელ ლაშა უბილავას, რომელმაც საკუთარი სახსრებით გვიყიდა სავარჯიშო–საჭიდაო ლეიბები, ბატონ იგორ ტყეებუჩავას, რომლის თაოსნობითაც გაიხსნა საჯიჯაოში ჭიდაობის სექცია, არსენა და ლევან თირქიებს და მათ მეგობრებს, რომლებმაც იზრუნეს სპორტული ფორმების შეძენაზე, კვებაზე, მადლობა მათ იმიტომ, რომ ეს ყველაფერი გააკეთეს უანგაროდ, მხოლოდ იმიტომ რომ ისინი საჯიჯაოელები არიან. ასევე მადლობა აიპ განათლების ცენტრის დირექტორს ქალბატონ ხათუნა ხორავას იმ ზრუნვისთვის რომელსაც იგი ჩვენს მიმართ იჩენდა.

მანანა შულაია.

მოლოცვა

ნიკოლოზ თევდორაშვილს!



ჩვენო პატარავ, გილოცავთ დაბადების დღეს. წელიწადი გავიდა, რაც ამ ქვეყნად შენი მოვლენით გამოწვეული სიხარული შენთან ერთად იზრდება. შენ უსაზღვროდ გაახარე დედიკო და მამიკოსთან ერთად სვეტა ბებო, მრავალი ჩვილის გადამრჩენი და მშველელი, მათ ჯანმრთელობაზე უზადოდ მზრუნველი.

ვულოცავთ დედიკო მელანოს, მამიკო გიორგის და შენს ახლობლებს დიდ სიხარულს, გაზრდილიყავი ჯანმრთელი, მოსიყვარულე და დიდი ერისშვილი.

მარიამ სულიკაშვილი, აკაკი და დათო კასრაძეები.

ინფორმაცია საჯარო განხილვების შესახებ 500200 კვ. ქვესადგურის „ჯვარი“ და შესაბამისი 500 კვ. და 200 კვ. ეგხ-ების მშენებლობის პროექტის შესახებ

შპს. „ენერგოტრანსი“ 2014 წლის 4 სექტემბრიდან საქართველოს კანონდებლობის შესაბამისად იწყებს 500/200კვ ქვესადგურის „ჯვარი“ და შესაბამისი 500კვ და 200კვ ეგხ-ების მშენებლობის პროექტის ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების დოკუმენტის საჯარო განხილვას. პროექტი მოიცავს შემდეგ კომპონენტებს:

1) დაახლოებით 2X8 კმ სიგრძის 500 კვ გადამცემი ხაზის მშენებლობა, 500 კვ „კავკასიონის“ ხაზის შეჭრით და დაახლოებით 60 კმ. 220 კვ. ორჯაჭვა ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობა ჯვარიდან ხორგაში, რაც გულისხმობს ახალი 220 კვ ორჯაჭვა ეგხ-ს მიერთებას ხორგის 220 კვ და ჯვარის 500 კვ ქვესადგურებთან;

2) ახალი 500/220 კვ ქვესადგურის მშენებლობას ჯვარში–ქვესადგურის 500კვ მხარის მოწყობა ამომრთველის ერთნახევარი სქემით, ორი დიაგონალით; 220 კვ მხარის მოწყობა ორი სალტით, სალტეთა მაერთით და ექვსი სახაზო უჯრედით, 500/220კვ 3X167 მვა ტრანსფორმატორების ერთი ჯგუფით და თანმხლები სამშენებლო სამუშაოები და მომსახურება.

1.პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) ანგარიშის საჯარო განხილვა გაიმართება: ზუგდიდის რაიონის მუნიციპალიტეტში–ა/წ 30 ოქტომბერს, 15:00 სთ-ზე, მისამართზე: ქ.ზუგდიდი, რუსთაველის ქ №90, IV სართული.

2. წალენჯიხის რაიონის მუნიციპალიტეტში - ა/წ 31 ოქტომბერს, 12:00 სთ-ზე, მისამართზე: ქ. წალენჯიხა, კ. სალიას ქ. №5, II სართული.

3.ხობის რაიონის მინიციპალიტეტში–ა/წ 31 ოქტომბერს, 15:00 სთ-ზე, მისამართზე: ქ. ხობი, ცოტნე დადიანის ქ.№189, III სართული

განსახილველი გზშ-ს ანგარიშის წინასწარი ვერსია და შესაბამისი დეტალური ინფორმაცია დაინტერესებულ მხარეთათვის ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართებზე.:

- გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ეკოლოგიური ექსპერტიზისა და ინსპექტირების დეპარტამენტი, ქ. თბილისი № 6 (ამობეჭდილი ვერსია);
- სს. „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“–ბარათაშვილის №2, სართული პირველი, (ამობეჭდილი ვერსია), (www.gse.com.ge – ელექტრონული ვერსია)
- შპს. „ენერგოტრანსი“–ბარათაშვილის №2, პირველი სართული ოთახი №3. ამობეჭდილი ვერსია (www.energotrans.com.ge – ელექტრონული ვერსია)
- ზუგდიდის რაიონის მუნიციპალიტეტი–რუსთაველის ქ №90 (ელექტრონული ვერსია)
- წალენჯიხის რაიონის მუნიციპალიტეტი–კ. სალიას ქ. №5 (ელექტრონული ვერსია)
- ხობის რაიონის მინიციპალიტეტი–ცოტნე დადიანის ქ.№187 (ელექტრონული ვერსია)

კომენტარები მიიღება ა/წ 29 ოქტომბრამდე შემდეგ მისამართებზე:

info@energotrans.com.ge; a.khetaguri@energotrans.com.ge; m.gikoshvili@energotrans.com.ge ელექტრონული სახით, და

შპს. „ენერგოტრანსი“ –ბარათაშვილის №2, პირველი სართული, ოთახი №3 წერილობით

ჰემორაგიული ცხელებების პროფილაქტიკისათვის

ექიმი გვიჩევს

საქართველოში ბოლო ხუთი წლის განმავლობაში ჰემორაგიული ცხელების შემთხვევებმა მნიშვნელოვნად მოიმატა, რასაც შემდეგი დაავადებები მიეკუთვნება: ყირიმ-კონგოს ჰემორაგიული ცხელება, ლეპტოსპიროზი და ჰანტა ვირუსით გამოწვეული ჰემორაგიული ცხელება.

ლეპტოსპიროზი გავრცელებულია საქართველოს ყველა რეგიონში. მ/წლის ივნისის თვეში აღინიშნა ლეპტოსპიროზით გარდაცვალების 2 შემთხვევა, 2012 წელს საჩხერის რაიონში დაფიქსირდა ჰანტა ვირუსული ინფექციის ჯგუფური შემთხვევა. რაც ყველაზე საყურადღებოა, 2013 წელს გამოვლენილია ყირიმ-კონგოს ცხელების 8 დადასტურებული შემთხვევა 3-3 ხაშურის და ასპინძის, 2 კასპის რაიონში. 2014 წლის აგვისტოს თვეში ყირიმ-კონგოს ჰემორაგიული ცხელების ეპიდაფეთქება მოხდა ხაშურის რაიონში, სადაც ავად გახდა 13 ადამიანი, მათ შორის 3 გარდაიცვალა.

მოცემული სიტუაციის მართვისათვის მნიშვნელოვანია საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სამსახურების მიერ ეპიდზედამხედველობის გაძლიერება, რათა მოხდეს ენდემური კერების კონტროლი, რეგისტრაცია. ასევე მნიშვნელოვანია მოსახლეობის და სამედიცინო პერსონალის ინფორმირებულობის ამაღლება, აღნიშნული დაავადებების პრევენციის მიზნით.

წარმოგიდგენთ მოკლე ინფორმაციას ამ სამი დაავადების ეპიდემიოლოგიისა და კლინიკის, პროფილაქტიკის შესახებ.

ყირიმ-კონგოს ჰემორაგიული ცხელების ენდემური კერები გავრცელებულია მთელ მსოფლიოში, მათ შორის საქართველოშიც. დაავადებას იწვევს ვირუსი, რომელიც ადამიანს გადაეცემა ტკიპების კბენის შედეგად ან ავადმყოფი ცხოველის სისხლთან და ქსოვილებთან უშუალო კონტაქტით. ასევე შესაძლებელია ადამიანიდან ადამიანზე გადაცემა დაავადებული ადამიანის სისხლთან და ბიოლოგიურ სითხეებთან შეხებისას, სამედიცინო მანიპულაციების დროს. ეს არის საშიში დაავადება, რადგან ლეტალობა არის მაღალი 10–40%. ვირუსის რეზერვუარია ტკიპების მრავალი სახეობა, რომელიც საქართველოშიც არის გავრცელებული. ტკიპები პარაზიტობენ შემდეგ ცხოველებში: თაგვები, ზღარბები, კურდღლები, ძროხები, ცხვრები, თხები და სხვა. ცხოველები ინფიცირდება ტკიპების მიერ კბენის შედეგად. ინკუბაციური პერიოდი 1–3 დღიდან შეიძლება გაგრძელდეს 13-14 დღემდე. დაავადება იწყება მწვავედ, ახასიათებს ორტალღიანი ცხელება, ძლიერი ინტოქსიკაცია, ავადმყოფს აწუხებს პირის ღრუს სიმშრალე, თავბრუხვევა, ღებინება. სახე, კისერი, ლორწოვანი გარსები შეწითლებულია. ზოგჯერ გამოხატულია სიყვითლე, კანზე ჩნდება წითელი ლაქები–პეტექიური გამონაყარი, პროფილაქტიკური ღონისძიებები გულისხმობს ცხელი სეზონის პერიოდში ყოველ 10-15 დღეში ცხოველების შეწამვლას და ცხოველთა სადგომების დამუშავებას სადეზინფექციო საშუალებებით, ცხოველების მოვლისას და შემდგომ პირადი ჰიგიენის წესების დაცვას.

ლეპტოსპიროზი–მწვავე ინფექციური დაავადებაა, ხშირდება ზაფხულში ბანაობის სეზონზე, თუმცა მისი ერთეული შემთხვევები მთელი წლის განმავლობაში გვხვდება. ადამიანიდან ადამიანს არ გადაეცემა. ინფექციის წყაროს წარმოადგენს გარეული და შინაური ცხოველები: ტყის მემინდვრეა, თაგვი, ვირთაგვა, ძაღლი, ძროხა, ღორი და სხვა, რომლებიც შარდით აბინძურებენ წყალს, ნიადაგს, საკვებ პროდუქტებს, გარშემო საგნებს, ადამიანი ინფიცირდება დაბინძურებულ წყალსა და ნიადაგთან კონტაქტის შედეგად. დაავადების ეპიდაფეთქება უმეტესად დაკავშირებულია ბუნებრივ და ხელოვნურ წყალსატევებში ბანაობასთან.

ლეპტოსპიროზის მიმდინარეობის ორი კლინიკური ფორმა არსებობს. სიყვითლით მიმდინარე და სიყვითლის გარეშე. ახასიათებს ორგანიზმის საერთო ინტოქსიკაცია, ცხელება, კუნთების ტკივილი, პარენქიმული ორგანოების, ნერვული და სისხლძარღვოვანი სისტემების დაზიანება, ტემპერატურა 38–38,5 გრადუსი, რეციდივები 3-4 ტემპერატურული ტალღით.

ჰანტა-ვირუსით გამოწვეულ ჰემორაგიული ცხელებას იწვევს ჰანტაანის ჯგუფის ვირუსი. ინფექციის წყაროს წარმოადგენს ჰანტა ვირუსით ინფიცირებული მღრღნელები. დაავადება ძლიერ აზიანებს ფილტვებს და თირკმლებს. კლინიკური ნიშნებია: ცხელება, თავის ტკივილი, კუნთების ტკივილი, ტკივილი მუცლის არეში, გახშირებული გულისცემა და სისხლის წნევის შემცირება, კონიუნქტივიტი, ჰეტექიური გამონაყარი.

ჰემორაგიული ცხელებების შემთხვევაში სიკვდილის შემთხვევების თავიდან აცილების და სხვა პროფილაქტიკური ღონისძიებების გატარებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება დიაგნოზის დროულად დასმას. პროფილაქტიკური ღონისძიებები გულისხმობს საბანაო ადგილების კეთილმოწყობას, დასუფთავებას, ბანაობის შემდგომ ჩვეულებრივი გამდინარე წყლით შხაპის მიღებას, პირადი ჰიგიენის წესების დაცვას, მღრღნელების წინააღმდეგ სადერატიზაციო ღონისძიებების სისტემატურად ჩატარებას.

ჯუმბერ ტურავა,
ხობის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დირექტორის მოადგილე, ექიმი-პროფილაქტიკოსი.

დამფუძნებელი: ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო.

გამომცემელი შპს „ხობის მოამბე“

სარედაქციო კოლეგია:
თავმჯდომარე შ.პ.ს. „ხობის მოამბეს“ დირექტორი–მერი ლაგვილავა,
თავმჯდომარის მოადგილე, დირექტორის მოადგილე–ნანი კილასონია.
რედაქტორი–მანანა შულაია.
ჟურნალისტები–ნანა კემულარია, ნინო გერგაია.
კომპიუტერული უზრუნველყოფა–ჯულიეტა ლატარია.

გაზეთი აეწყო და დაკაბადონდა შპს „ხობის მოამბეში.“
მის: ხობი, წმინდა ნინოს ქუჩა №1 ტელ: 0 (414) 22-21-13; 22-25-81; 599-50-40-57. ელ. ფოსტა: xobismoambe@mail.ru
დაიბეჭდა შ.პ.ს. გამომცემლობა „კოლორში“. თბილისი, რკინიგზის ჩიხი №20.

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. გაზეთში დაბეჭდილ მასალის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.